



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის
ექსპერტთა დასკვნა
სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: პროფესორი ანასტასიოს დაგიუკლასი, ლონდონის საუს ბენქის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო

წევრები:

ეკატერინე ფიფია, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო; ანზორ ბერიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

გაიოზ ფარცხალაძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო მინდიაშვილი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მარიამ გორგოძე, შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, სტუდენტი, საქართველო

თბილისი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ) მდებარეობს დედაქალაქ თბილისში. ის დაარსდა 1922 წელს, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი. 1928 წელს, დაწესებულება ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი „საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი“, ხოლო მოგვიანებით 1990 წელს მოიპოვა უნივერსიტეტის სტატუსი. ამჟამად სტუ შედგება 15 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისგან, 13 ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისგან, ფაკულტეტისა და ცენტრალური ბიბლიოთეკებისგან, კომპიუტერული ცენტრებისგან, საგამოცდო ცენტრებისგან, საექსპერტო ლაბორატორიებისგან, სამეცნიერო - კვლევითი და საექსპერტო ლაბორატორიებისგან და ა.შ. სტუ ში დასაქმებულია 4092 თანამშრომელი (1184 აკადემიური პერსონალი, 380 სამეცნიერო პერსონალი და 2071 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი), ახორციელებს 167 საგანმანათლებლო პროგრამას (73 საბაკალავრო, 57 სამაგისტრო და 36 სადოქტორო და 1 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. უნივერსიტეტს ჰყავს 17992 აქტიური სტუდენტი (15038 ბაკალავრი, 1969 მაგისტრანტი და 703 დოქტორანტი). სტუ - ს საერთო ბიუჯეტი შეადგენს 67,519,511.00 ლარს. კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს 11,263,091.00 ლარს, ხოლო საბიბლიოთეკო სერვისებისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 427,342.00 ლარს.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის გუნდმა მოამზადა თვითშეფასების ანგარიში, რომელიც წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ხოლო შემდგომ გადაეცა ექსპერტთა ჯგუფს. თვითშეფასების პროცესი უნდა გახდეს უფრო ღია, გამჭვირვალე, ინკლუზიური და ანალიტიკური.

ადგილზე ვიზიტი დაიწყო 2024 წლის 1 ივლისის დილიდან. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს თან ახლდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. ექსპერტთა ჯგუფი თავდაპირველად შეხვდა სტუ-ს ხელმძღვანელ გუნდს, რასაც მოჰყვა სტუ-ს მატერიალური რესურსების დათვალიერება. 2024 წლის 2,3,4 და 5 ივლისს ვიზიტის სრული დღეები დაეთმო ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრებებს სტუ - ს ხელმძღვანელობასთან, მმართველ გუნდთან და პერსონალთან. ვიზიტის ბოლო დღეს ჯგუფმა განიხილა მიგნებები და შეთანხმდა სტუ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან და მათ კომპონენტებთან შესაბამისობის ხარისხზე და შეფასებაზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სტუ - ს ხელმძღვანელობას წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიგნებების მოკლე მიმოხილვა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

განისაზღვრა, რომ სტუ სრულად შეესაბამება 3 კომპონენტს (2.3, 3.1, 3.3), მეტწილად შეესაბამება 14 კომპონენტს (1.1, 1.2, 2.1, 2.2, 3.2, 4.1, 4.2, 5.1, 5.2, 6.1, 6.2, 7.2, 7.3, 7.4) და ნაწილობრივ შეესაბამება 2 კომპონენტს (6.3, 7.1). ჯგუფმა განსაზღვრა, რომ სტუ არცერთ კომპონენტთან არ არის შეუსაბამობაში.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს სტუ-ს საქმიანობის სტრატეგიული ორიენტირი მისიის დოკუმენტით განსაზღვრული ოთხი საყრდენის შესაბამისად. (კომპონენტი 1.1)
- რეკომენდებულია, მისიის განაცხადი დაკავშირებული იყოს მიზნებთან, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მათი მონიტორინგი და გაზომვა. (კომპონენტი 1.1)
- რეკომენდებულია, ინსტიტუტმა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა მისიის შემუშავების პროცესში. (კომპონენტი 1.1)
- რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულების ხარისხობრივი საზომის განსაზღვრა და მათი დაკავშირება პრიორიტეტებთან. (კომპონენტი 1.2)
- რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულებიდან სტრუქტურული ერთეულებისთვის უერთიერთკავშირის რუკების მიწოდება. (კომპონენტი 1.2)
- რეკომენდებულია, სტრატეგიულ მიზნებში თანასწორობის, მრავალფეროვნების და ინკლუზიურობის გათვალისწინება. (კომპონენტი 1.2)
- რეკომენდებულია, ყველა სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგი და შეფასება უმაღლეს დონეზე. (კომპონენტი 1.2)
- სტუ-ს აქვს დიდი რაოდენობით ფაკულტეტები (ასევე, რამოდენიმე ფაკულტეტზე არის დეპარტამენტების დიდი რაოდენობა) და კვლევითი ინსტიტუტები. რეკომენდებულია, ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის ოპტიმიზაცია. რეკომენდებულია, ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის ოპტიმიზაცია და შესაბამისად ფაკულტეტების სახელწოდებების შეცვლა (კომპონენტი 2.1).
- რეკომენდებულია, კვლევითი ცენტრების როლის ჩამოყალიბება და მათი ურთიერთკავშირი აკადემიურ დეპარტამენტებთან. (კომპონენტი 2.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც გააერთიანებს ყველა ფაკულტეტის მონაცემებს, საერთო აკადემიური მოსწრების და ტენდენციების შესახებ ღირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რაც გამოავლენს საერთო ძლიერ მხარეებს და გასაუმჯობესებელ სფეროებს. (კომპონენტი 2.2)
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მოწვეული, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრების და რესურსების (მაგ. ბიბლიოთეკის) კვლევების განხორციელების და განხილვის უფრო სისტემატური ყოველწლიური გრაფიკი. პროგრესზე დაკვირვების და ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით აუცილებელია აღნიშნული კვლევების შედეგების სისტემატური ანალიზი და ყოველწლიური შედარება. აღნიშნული რეგულარული შეფასება უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებას და უნივერსიტეტის მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობას. (კომპონენტი 2.2)
- უფრო მოქნილი და მოსახერხებელი გამოცდილების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, რომ კითხვარების შევსება არ იყოს სავალდებულო მხოლოდ ზოგიერთი სტუდენტისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტის ნებაყოფლობით და ჭეშმარიტ უკუკავშირს, სხვა მნიშვნელოვან აკადემიურ ინფორმაციაზე მათი წვდომის შეზღუდვის გარეშე. (კომპონენტი 2.2)
- რეკომენდებულია, უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარების გაძლიერება სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებისთვის. (კომპონენტი 3.2)
- რეკომენდებულია, მისაღებ გამოცდაზე ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის

გამლიერება, ან გასაუბრების ჩატარება, ან მოთხოვნებში ნაშრომის შესრულების კომპონენტის დანერგვა. (კომპონენტი 3.2)

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და განახორციელოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმი. (კომპონენტი 4.1).
- რეკომენდებულია, სამიზნე ნიშნულების ჩამოყალიბება არა მხოლოდ ფაკულტეტის / სკოლის დონეზე, არამედ უნივერსიტეტის დონეზე, რომელიც მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის შაბლონით. (კომპონენტი 4.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია და გააუმჯობესოს ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის თანაფარდობა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან მიმართებით. (კომპონენტი 4.1)
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით მარტივად ხელმისაწვდომი გახადოს პერსონალის მართვის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები. (კომპონენტი 4.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას საგნმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტები მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე. (კომპონენტი 4.2)
- რეკომენდებულია, სტუ - მ უზრუნველყოს საერთაშორისო სტუდენტების სათანადო დონეზე ინფორმირება სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, იმისათვის რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი უფლება აირჩიონ ან იყვნენ არჩეულები თვითმმართველობის წევრებად. (კომპონენტი 5.1)
- რეკომენდებულია, სტიპენდიებთან დაკავშირებული პროცესების ფორმალიზება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სტანდარტის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებისთვის. (კომპონენტი 5.2)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტრატეგია სტატუს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შემცირების მიზნით. (კომპონენტი 5.2)
- რეკომენდებულია, დოქტორანტების ხელმძღვანელებისთვის მენტორული მხარდაჭერის და ტრენინგების უზრუნველყოფა. (კომპონენტი 6.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დოქტორანტების ინგლისური ენის ცოდნის დონის შეფასების მიზნით ხელახლა განახორციელოს ინგლისური ენის გამოცდა. (კომპონენტი 6.1)
- რეკომენდებულია, სხვადასხვა ფაკულტეტებს და კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობით, მულტიდისციპლინური კვლევითი აქტივობების ჩამოყალიბება. (კომპონენტი 6.1)
- რეკომენდებულია, არსებითად გაიზარდოს გამოქვეყნებები და წვლილი მაღალი ხარისხის ჟურნალებში (ერთზე მეტი ინფაქტ ფაქტორი, Q1 ან Q2 "scimago" ჟურნალების კლასიფიკაციის მიხედვით). (კომპონენტი 6.1)
- რეკომენდებულია, დოქტორანტების მიერ შესრულებული ყველა ნაშრომი (არა მხოლოდ დასრულებული დისერტაცია) შემოწმდეს პლაგიატზე (ჟურნალის ხელნაწერები, კოლოქვიუმები, თემატური სემინარები), რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას. (კომპონენტი 6.1)
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს სადოქტორო ნაშრომის დაცვის წინაპირობები, მათ შორის სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების მოთხოვნა Web of Science ან Scopus - ის მონაცემთა ბაზების მიერ ინდექსირებულ ჟურნალში, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დოქტორანტებისთვის ERIH Plus მონაცემთა ბაზაში. (კომპონენტი 6.1)

- რეკომენდებულია, დოქტორანტისთვის ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურის გაუმჯობესება. დანიშნულ პროფესორს ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამეცნიერო აქტივობები, რომელიც დაკავშირებული იქნება სადისერტაციო თემასთან, გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სტატიები Web of Science ან Scopus მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში, ხოლო ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ERIH Plus მონაცემთა ბაზაში. (კომპონენტი 6.1)
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს ეფექტური სტრატეგია და წახალისების სისტემა კვლევის მხარდაჭერის მიზნით ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. (კომპონენტი 6.2)
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის და მკვლევრების შესრულების შედეგების მიზნით გამოიყენოს ისეთი საზომი, როგორიც არის ციტირების რაოდენობის გამოთვლა, FWCI, i10. (კომპონენტი 6.3)
- რეკომენდებულია, სტუ - მ გამოიყენოს კვლევის ხარისხის ეფექტურობის შეფასების ანალიზი ახალი კვლევითი სტრატეგიის დასაგეგმად სამომავლო განვითარების მიზნით. (კომპონენტი 6.3)
- რეკომენდებულია სტუ-მ მოამზადოს დაწესებულების ყველა შენობის და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დეტალური სარემონტო გეგმა (ლაბორატორიების, სანიტარული კვანძების, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს, კვების ობიექტების), (მაქსიმუმ სამი წელი) და განსაზღვროს სავარაუდო ბიუჯეტი. (კომპონენტი 7.1)
- უნივერსიტეტმა, თითოეულ შენობაში უნდა უზრუნველყოს საევაკუაციო გეგმა და განათავსოს სპეციალური ნიშნები. (კომპონენტი 7.1)
- უნივერსიტეტმა თითოეულ შენობაში უნდა გამოყოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. (კომპონენტი 7.1)
- უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესში, როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის უნდა გაითვალისწინოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პროცედურები. (კომპონენტი 7.1)
- რეკომენდებულია, დაწესებულება გახდეს IEEE Xplore - ის გამომწერი (კომპონენტი 7.2)
- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილი იყოს ოთახები ჯგუფური პროექტებისთვის (კომპონენტი 7.2)
- რეკომენდებულია, ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის დანერგვა. (კომპონენტი 7.3)
- რეკომენდებულია, კომპიუტერებში მოძველებული კიბერ - რისკის ოპერაციული სისტემის შეცვლა. (კომპონენტი 7.3)
- რეკომენდებულია, ქსელებზე უკანონო წვდომის საწინააღმდეგო პროგრამის დაყენება. (კომპონენტი 7.3)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მოამზადოს სტრატეგიული / სამოქმედო გეგმა შენობების, ინფრასტრუქტურის და ლაბორატორიების რეაბილიტაციის / რემონტის შესაბამისი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების მოძიების მიზნით, რეკომენდებულია ფინანსური გეგმის გადახედვა და ეფექტურობის შეფასების მიზნით ძირითადი შესრულების ინდიკატორების გამოყენება. (კომპონენტი 7.4)

რჩევები

- სასურველია, საერთაშორისო ხედვამ გამოიყენოს ისეთივე პრაქტიკა, როგორიც დანერგილია ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის გერმანია, ნიდერლანდები, იტალია, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი. (კომპონენტი 1.1)

- სასურველია, პრიორიტეტების შესაბამისობის უზრუნველყოფა გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნებთან და ადგილობრივი ბაზრის საჭიროებებთან, უნარების და კომპეტენციების თვალსაზრისით (კომპონენტი 1.2).
- სასურველია, ინდუსტრია 4.0 - ის ეროვნულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და მისი მორგება სწავლებაზე და სწავლაზე (კომპონენტი 1.2).
- სასურველია, უნივერსიტეტის ინგლისურენოვან დოკუმენტებში არ იყოს გამოყენებული ტერმინი „უცხოური“ და გამოიყენებოდეს ტერმინი „საერთაშორისო“, რაც გამოხატავს უფრო ინკლუზიურ და გლობალურ მიდგომას. (კომპონენტი 2.1)
- სასურველია, გადაიხედოს სახელწოდება „საერთაშორისო დიზაინის სკოლა“ და ეწოდოს „საერთაშორისო დიზაინის ფაკულტეტი“ ან მსგავსი სათაური, იმისათვის რომ შეესაბამებოდეს სხვა ფაკულტეტების დასახელების კონცეფციას და უზრუნველყოს თანმიმდევრულობა, სიცხადე და უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის და წესდების სახელმძღვანელო მითითებების დაცვა. (კომპონენტი 2.1)
- სასურველია, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების გაძლიერება, რაც საერთაშორისო სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის და წარმომადგენლობითი საბჭოების მართვის საკითხებში. (კომპონენტი 2.2)
- სასურველია, უნივერსიტეტმა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით შეიმუშაოს და განახორციელოს პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა უნდა შეეხოს აკადემიურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლებას ეთიკურ შედეგებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროა მათი წვლილის კეთილსინდისიერების და ორიგინალურობის შესანარჩუნებლად. (სტანდარტი 2.3)
- სასურველია, უცხო ენებს შორის არჩევანის გაკეთების დროს, როგორც არის ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული და ა.შ., უნივერსიტეტმა უპირატესობა მიანიჭოს ინგლისურ ენას, სადაც ეს შესაძლებელია და სასურველია. (კომპონენტი 3.2)
- სასურველია, სტუ - მ შექმნას ციფრული პლატფორმა, რომელიც შეძლებს სისტემატურად მართოს სწავლის შედეგების შეფასება. (კომპონენტი 3.3)
- სასურველია, დარეგულირდეს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის მოდელი (სასწავლო საათების რაოდენობა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები) ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი დოქტორანტების და კვლევითი პროექტების რაოდენობის გათვალისწინებით. (კომპონენტი 4.2)
- სასურველია ინსტიტუციამ უზრუნველყოს, რომ სტუდენტები კარგად იყვნენ ინფორმირებული მათი უფლებების შესახებ აირჩიონ, ან კენჭი იყარონ წარმომადგენლებად სენატსა და საფაკულტეტო საბჭოში, ასევე ამ საბჭოებში სტუდენტი წევრების როლისა და ფუნქციების შესახებ. (კომპონენტი 5.1)
- სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების სრულყოფილად ინფორმირება როგორც ეთიკის კომისიის, ასევე ეთიკის კოდექსის შესახებ. (კომპონენტი 5.1)
- სასურველია, სტუ - მ გაითვალისწინოს ფინანსური მხარდაჭერის შემდგომი მექანიზმები (როგორც არის სწავლის საფასურის დაყოფა 4 - ზე მეტ ნაწილად) იმისათვის რომ შეამციროს ფინანსური პრობლემების გამო სტატუსს შეჩერებული სტუდენტების მაჩვენებელი. (კომპონენტი 5.2)
- სასურველია, გაუმჯობესდეს დოქტორანტურის თანამშრომლობა კვლევით ინსტიტუტებთან. (კომპონენტი 6.1)
- სასურველია, ხშირად განხორციელდეს დოქტორანტების ანონიმური გამოკითხვები მათი პრობლემების იდენტიფიცირების და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. (კომპონენტი 6.1)

- სასურველია დოქტორანტების სტიპენდიის საფასურის გადახედვა. (კომპონენტი 6.1)
- სასურველია როგორც აკადემიური პერსონალისთვის ასევე დოქტორანტებისთვის გულგ სქოლარის პროფილების შექმნა. (კომპონენტი 6.2)
- საერთაშორისო აღიარების უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის არანაკლებ 80% ჩართული იყოს საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში. (კომპონენტი 6.2)
- სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს კვლევის შედეგებს. (კომპონენტი 6.2)
- სასურველია, თითოეული კვლევითი ცენტრისთვის განისაზღვროს სამოქმედო ვადა (მაგ. კვლევის სტრატეგია, ხედვა და პრიორიტეტები). (კომპონენტი 6.3)
- სასურველია უნივერსიტეტმა საერთაშორისო ჟურნალებში კვლევის შედეგების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენოს Scopus (<https://www.scopus.com/search>) ან Scimago (<https://www.scimagojr.com/>). (კომპონენტი 6.3)
- სასურველია, დაზუსტდეს დაწესებულების საკუთრების და სარგებლობის ფართი საჯარო რეესტრის დოკუმენტაციის მიხედვით. (კომპონენტი 7.1)
- სასურველია, დაზუსტდეს დაწესებულების მიერ იჯარით გაცემული ფართი საჯარო რეესტრის დოკუმენტაციის მიხედვით. (კომპონენტი 7.1)
- სასურველია, მომზადდეს სასწავლო ფართების შესახებ ერთიანი დოკუმენტი შენობების აზომვითი ნახაზების მიხედვით. (კომპონენტი 7.1)
- სასურველია, მომზადდეს ლაბორატორიების მოკლე აღწერა, დაზუსტდეს თითოეული ლაბორატორიის საშუალო კვირეული დატვირთვა წინა სამი წლის მონაცემებზე დაყრდნობით (მათ შორის სტუდენტების რაოდენობა) და შეფასდეს მისი გამოყენების ზრდის პოტენციალი. (კომპონენტი 7.1)
- სასურველია, შენობებში ეროვნომიული სკამების გამოყენება. (კომპონენტი 7.1)
- ზოგიერთი ლაბორატორიის (მაგ. მეტალურგიის გვირაბი) მოვლა-პატრონობა ჯდება ძალიან ძვირი. მიზანშეწონილია მათი ჩანაცვლება პროგრამული ინსტრუმენტებით (კომპონენტი 7.4)

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართ 1-ში

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

- ინოვაციების დანერგვა სწავლებასა და სწავლაში
- გარე დაინტერესებულ მხარეებთან დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით ჩართულობა
- საერთაშორისო (ევროპულ) დონეზე დანერგილი საუკეთესო პრაქტიკა
- ISO 900:1 ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულებიდან ანგარიშგების შესახებ
- ABET - ის (აკრედიტაციის საბჭო ინჟინერიის და ტექნოლოგიების მიმართულებით) აკრედიტაცია
- ამჟამად უნივერსიტეტს აქვს ერთი ABET - ის (აკრედიტაციის საბჭო ინჟინერიის და ტექნოლოგიების მიმართულებით) მიერ აკრედიტებული "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი პროგრამა და დამატებით 8 პროგრამა მზადდება ABET აკრედიტაციის მისაღებად.
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გაძლიერების მიზნით (მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, ტრანსპორტი, სამთო და გეოინჟინერია, საავიაციო ინჟინერია, ბიზნეს ორგანიზაცია და ა.შ.), უნივერსიტეტს დანერგილი აქვს მექანიზმი პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, როგორც საერთაშორისო პროექტების, ასევე ადგილობრივი ბიზნესების შესაძლებლობების გამოყენებით(არემჯი, ლაიონ ტრანსი, თეგეტა მოტორსი, 31- ე საავიაციო ქარხანა,

ჰაიდელბერგცემენტი, ანაგი და სხვ.).

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების
შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამი სობაშია მოთხოვნ ებთან	მეტწი ლად შესაბა მისობ აშია მოთხო ვნებ თან	ნაწილ ობრივ შესაბა მისობ აშია მოთხო ვნებ თან	არ არის შესაბამ ისობაში მოთხოვ ნებთან
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	X	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	X	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	X	☐	☐
2.	უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	X	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	X	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	X	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	X	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	X	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	X	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	X	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	X	☐	☐	☐
4	უსდ-ის პერსონალი	☐	X	☐	☐

4.1	პერსონალის მართვა	☐	X	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	X	☐	☐
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	X	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	X	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	X	☐	☐
6	კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	X	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	X	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	X	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	X	☐
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	X	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	X	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	X	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☐	X	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	X	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ანასტასიოს დაგიუკლასი (თავმჯდომარე)
2. ეკატერინე ფიფია (წევრი)
3. ანზორ ბერიძე (წევრი)
4. გაიოზ ფარცხალაძე (წევრი)
5. ნინო მინდიაშვილი (წევრი)
6. ია ნაცვლიშვილი (წევრი)
7. მარიამ გორგოძე (წევრი)

1. 1. უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმადლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმადლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმადლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, როგორც ადგილობრივ და / ან საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მისია მკაფიოდ განსაზღვრავს მის პოზიციას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. მასში უმადლესი განათლების როლი განხილულია, როგორც სტუდენტების, საზოგადოების აქტიური წევრების მომზადებისთვის, ცოდნის გამომუშავების და გაზიარებისთვის, სტუდენტების პიროვნული განვითარების წახალისების და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის საშუალება. თვითშეფასების ანგარიში ასახავს ავტორიზაციის სტანდარტის შეფასების კრიტერიუმებს. დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს მისი საქმიანობის დასაბუთებას. თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია ინდივიდუალურად, აღნიშნული ასპექტების ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

სტუ -ს შემუშავებული აქვს ხედვა, რომელიც მიზნად ისახავს შემდეგი საყრდენების განხორციელებას: სასწავლო და კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაცია; ავტონომია; აკადემიური თავისუფლება; სწავლის, სწავლებისა და კვლევის გაერთიანება; თანასწორობა და გამჭვირვალობა. ასეთი ხედვა აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში და ასევე ხელმისაწვდომია ხედვის დოკუმენტში. თუმცა, არ არის წარმოდგენილი მეთოდოლოგია და მიმართულების რუკა იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდება აღნიშნული ხედვა და რომელი საზომი იქნება გამოყენებული აღნიშნულ ოთხ საყრდენში მიღწეული წარმატების გასაზომად.

შეზღუდული ინფორმაცია არის წარმოდგენილი ადგილობრივი მოთხოვნის საჭიროებებზე და ძირითად ტექნოლოგიურ სფეროებში საქართველოს სტრატეგიაზე, უნარებზე და გამოცდილებაზე, რომელსაც კურსდამთავრებული მიიღებს სტუ-ს მიერ შეთავაზებული სხვადასხვა პროგრამებიდან. ასევე შეზღუდული ინფორმაციაა წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესახებ. არ არსებობს ინფორმაცია შეთავაზებული პროგრამების უნიკალური უპირატესობების შესახებ.

თვითშეფასების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მისიის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა ვიზიტის დროს აღნიშნულის შესახებ მოითხოვეს დამატებითი განმარტებები, მკაფიო პასუხი არ იყო გაცემული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხედვის დოკუმენტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები ადმასრულებელ გუნდთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს სტუ -ის საქმიანობის სტრატეგიული ორიენტირი მისიის დოკუმენტით განსაზღვრული ოთხი საყრდენის მიმართ. (კომპონენტი 1.1) - რეკომენდებულია, მისიის განაცხადი დაკავშირებული იყოს მიზნებთან, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მათი მონიტორინგი და გაზომვა. (კომპონენტი 1.1) - რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა მისიის შემუშავების პროცესში. (კომპონენტი 1.1)
რჩევები: სასურველია, საერთაშორისო ხედვამ გამოიყენოს ისეთივე პრაქტიკა, როგორიც დანერგილია ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის გერმანია, ნიდერლანდები, იტალია, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი. (კომპონენტი 1.1)
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-მ უკვე წარმოადგინა 2022-2028 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. აღნიშნულ სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია ქვეყნის სტრატეგიული გადაწყვეტილება, გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი, ასევე დემოკრატიული სივრცის წარმომადგენელი. სტრატეგია ეფუძნება თავისუფლების და ღირსების პრინციპებს.

სტუ - ს განვითარების პერიოდის გეგმა განსაზღვრავს ორ ძირითად პრიორიტეტს:

- კვლევაზე დაფუძნებული სწავლება და სწავლა, რესურსების და შესაძლებლობების საფუძველზე შესაბამისი რესურსების გამოყოფა და რექტორატის მიერ დაბალანსებული მართვის სტრუქტურის შექმნა.
- კომუნიკაციის კულტურა ორიენტირებულია ურთიერთთანამშრომლობაზე და თანხმობაზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ინტერდისციპლინურობას/მულტიდისციპლინურობას და ტრანსდისციპლინურობას.

თუმცა, ეს ორი პრიორიტეტი ძალიან ზოგადია და არ შეესაბამება სწავლების, სწავლის და კვლევის კომპეტენციის და უნარების კონკრეტულ სტრატეგიულ სფეროებს. გარდა ამისა, ორი პრიორიტეტი არ გვაწვდის საკმარის დეტალებს (ან ბმულებს) საქართველოს ეროვნულ პრიორიტეტებთან დაკავშირებით და როგორ უკავშირდება აღნიშნული ორი პრიორიტეტი უსდ - ს საერთაშორისო პრაქტიკას. შეზღუდული ინფორმაცია იყო მოწოდებული დაბალანსებული სტრუქტურის შესახებ, რომელიც მითითებულია შიდა შეფასების და მისიის ანგარიშებში. ბუნდოვანია, თუ როგორ იყო გათვალისწინებული ბალანსი სტუ-ს სტრუქტურაში. გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნების როლი, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია უსდ-ის სტრატეგიის ჩამოყალიბებისთვის, არ არის გათვალისწინებული.

თვითშერფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ როგორც შუალედური, ასევე წლიური ანგარიშები ასახავს სტუ - ის სამოქმედო გეგმის განხორციელებას და იმას თუ როგორ ხორციელდება მისი სტრუქტურა ყოველწლიურად. თუმცა, არ არსებობს დეტალური ინფორმაცია აღნიშნული განხორციელების შესახებ, ასევე არ არსებობს ძირითადი შესრულების ინდიკატორები სამოქმედო გეგმის შესაფასებლად.

თვითშეფასების თანახმად, შეიცვალა სტუ-ის სამწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა და სტრუქტურული ერთეულები; განისაზღვრა ახალი მიმართულებები. არ არსებობს ინფორმაცია სტრუქტურული ცვლილებების და ცვლილებების განხორციელების საჭიროების დასაბუთების შესახებ. არსებობს მნიშვნელოვანი კითხვები რესტრუქტურირების და ახალი დეპარტამენტის შექმნასთან დაკავშირებით.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს SWOT ანალიზს და განიხილავს თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს

აღნიშნული სტრატეგიაზე. გამოვლინდა შემდეგი ძლიერი მხარეები:

- უნივერსიტეტის ცნობიერება;

- საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება;
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები;
- კარგი საბიბლიოთეკო რესურსები;
- ჩამოყალიბებული ლაბორატორიული ობიექტები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კარგი მაჩვენებელი;
- ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროგრამებში მონაწილეობა;
- მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია შემდეგი სუსტი მხარეები:

- მოძველებული ინფრასტრუქტურა (გაურკვეველია, აღნიშნული ეხება შენობას, აღჭურვილობას თუ ორივეს ერთად).
- საუნივერსიტეტო - კვლევითი საქმიანობის არასაკმარისი ინტენსივობა (მაგ. ფუნდამენტური კვლევა, გამოყენებითი კვლევა). ასეთი სუსტი მხარე არ ფიქსირდება მე-6 ნაწილში.

გარდა ამისა, განისაზღვრა შემდეგი საფრთხეები:

- პანდემიით, სტიქიური უბედურებებით, საომარი მოქმედებებით გამოწვეული საფრთხეები;

სტრატეგიული განვითარების გეგმა არ იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ განხორციელდება აღნიშნული დაბრკოლებების მართვა და მოახდენს თუ არა გავლენას სტრატეგიაზე (რისკის შეფასება). SWOT ანალიზი ითვალისწინებს შიდა პარამეტრებს. SWOT ანალიზი არ მოიცავს გარე პარამეტრებს. კონკურენცია თბილისის სხვა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებთან და ასევე გარე პარამეტრები არ არის გათვალისწინებული.

თვითშეფასების ანგარიშში განსაზღვრულია შვიდი განსხვავებული სტრატეგია:

- სტრატეგიული მიმართულება 1 - ორგანიზაციული განვითარება. რომელიც ორიენტირებულია შემდეგ მიმართულებებზე:
- სტრატეგიული მიმართულება 2 - ხარისხის მართვა
- სტრატეგიული მიმართულება 3 - სწავლა და სწავლება
- სტრატეგიული მიმართულება 4 - კვლევა და ინოვაცია
- სტრატეგიული მიმართულება 5 - ინტერნაციონალიზაცია
- სტრატეგიული მიმართულება 6 - სტუდენტური ცხოვრება
- სტრატეგიული მიმართულება 7 - სოციალური პასუხისმგებლობა

თითოეული სტრატეგიული მიმართულებისთვის განისაზღვრა სხვადასხვა მიზნები და ქვემიზნები. თითოეული მიზანი მხარდაჭერილია ხარისხობრივი საზომებით; არ არსებობს კონკრეტული რაოდენობრივი საზომი, რომელიც გაუწევდა კონტროლს მიზნების ყოველწლიურ პროგრესს. წარმოდგენილია საკმარისი და კონკრეტული ინფორმაცია თითოეული სტრატეგიული მიმართულების ქვემიზნებთან დაკავშირებით. აღნიშნული მიმართულებები ხაზს უსვამს ხედვას, რომელიც ინდუსტრიის 4.0 -ის მიმართულებით უზრუნველყოფს უნარების და კომპეტენციების განვითარებას. ანგარიშის მიხედვით, შექმნილია მართვის მიდგომის პროექტის გუნდის ადმინისტრირების ფორმა. არ არის ნათელი, მორგებულია თუ არა სწავლება - სწავლა ინდუსტრიის 4.0 -ის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებებისას გამოვლინდა, რომ აღმასრულებელი მმართველობა და პერსონალი

ჩართული იყო სტრატეგიულ დაგეგმვაში. პერსონალი და მმართველი ორგანოები ძირითადად იცნობენ

თავიანთი ორგანიზაციული ერთეულების ფუნქციებს. როგორც ჩანს, თითოეული ორგანიზაციული ერთეული შეესაბამება

სტრატეგიულ მიმართულებებს. სტუ -ს სტრუქტურულ ერთეულებში ყოველწლიური ანგარიშების მეშვეობით დანერგულია ISO 900:1. არ არის ნათელი (თვითშეფასების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი დეტალები)თუ როგორ ხორციელდება ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულის სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება უმაღლეს დონეზე. ექსპერტებმა ვიზიტის დროს ვერ დაადგინეს, თუ როგორ არის სტრატეგიული მიმართულებები გადანაწილებული სხვადასხვა ორგანიზაციულ სტრუქტურულ ერთეულებში. ფიქსირდება სისტემური მიდგომის ნაკლებობა, რაც ხელს შეუშლის სტრატეგიული მიმართულებების განხორციელებას. მოსალოდნელია, რომ უნივერსიტეტი განახორციელებს ინვესტირებას ინოვაციებში, იმისათვის რომ გამოიმუშაოს დამატებითი შემოსავალი და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით გაითვალისწინოს ინოვაცია სწავლებასა და სწავლაში. თუმცა, ამ მიზნის განსახორციელებლად არ არის განსაზღვრული შესრულების ძირითადი ინდიკატორები (მაგ. აღნიშნული შემოსავლის მოსალოდნელი ყოველწლიური ოდენობა). კეთდება გარკვეული განცხადებები, რომლებიც არ არის გამყარებული მტკიცებულებებით: (მაგ. „ტრადიციული უნივერსიტეტები ხდებიან კონკურენტუნარიანი ბაზრის მოთამაშეები“, „სწავლებისა და სწავლის მდგრადობა, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გაზიარება“ და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლება და ხარისხი განსაზღვრულია როგორც ხედვის საყრდენი, თვითშეფასების ანგარიში არ იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ განიხილება თანასწორობა, მრავალფეროვნება და ჩართულობა ზემოდან ქვევით მიდგომით ყველა სტრუქტურულ ერთეულში. შეზღუდული ინფორმაცია არის წარმოდგენილი სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გენდერული ბალანსის შესახებ. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა სტუ-ს კურსდამთავრებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული განვითარების გეგმა; • თვითშეფასების ანგარიში; • ფაკულტეტების დებულებები; • მისია და მიზნები; • გასაუბრებები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულების ხარისხობრივი საზომის განსაზღვრა და მათი დაკავშირება პრიორიტეტებთან. • რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულებიდან ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულებისთვის უერთიერთკავშირის რუკების მიწოდება. • რეკომენდებულია, სტრატეგიულ მიზნებში თანასწორობის, მრავალფეროვნების და ინკლუზიურობის გათვალისწინება. • რეკომენდებულია, ყველა სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგი და შეფასება უმაღლეს დონეზე.
რჩევები: • სასურველია, პრიორიტეტების შესაბამისობის უზრუნველყოფა გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნებთან და ადგილობრივი ბაზრის საჭიროებებთან, უნარების და კომპეტენციების თვალსაზრისით. • სასურველია, ინდუსტრია 4.0 - ის ეროვნულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და მისი მორგება სწავლებაზე და სწავლაზე.
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • ინოვაციების დანერგვა სწავლებასა და სწავლაში • გარე დაინტერესებულ მხარეებთან ჩართვა დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით • საერთაშორისო (ევროპულ) დონეზე საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა • ISO 900:1 ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულებიდან ანგარიშგების შესახებ

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს სტრუქტურა შედგება რექტორის სამსახურის, ადმინისტრაციის უფროსის, კანცლერის სამსახურის, აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოების, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, დამოუკიდებელი კვლევითი დეპარტამენტების, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის და ა.შ. და სხვა სტრუქტურებისგან. უნივერსიტეტში განსაზღვრულია ცამეტი ფაკულტეტი: სამოქალაქო ინჟინერიის ფაკულტეტი; ენერგეტიკის ფაკულტეტი; სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტი; ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი; ტრანსპორტისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი; არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარების და დიზაინის ფაკულტეტი; ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი; ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი; სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი; აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტი; მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი და დიზაინის საერთაშორისო სკოლა. ფაკულტეტების საკმაოდ დიდი რაოდენობა, ეწინააღმდეგება სტრატეგიის და ხედვის დოკუმენტში წარმოდგენილ ეფექტური მართვის განაცხადს.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრუქტურების ნომენკლატურა უნდა იყოს სტანდარტიზებული, იმისათვის რომ შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის წესდებას. ამჟამად, „საერთაშორისო დიზაინის სკოლის“ ფაკულტეტის სახელწოდება არ შეესაბამება წესდებაში მოცემულ განმარტებას, რომლის თანახმად „ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის მთავარი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და უზრუნველყოფს მათ შესაბამისი კვალიფიკაციით“. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადახედოს „საერთაშორისო დიზაინის სკოლის“ სახელწოდებას და შეცვალოს სახელწოდება „საერთაშორისო დიზაინის ფაკულტეტით“ ან მსგავსი სათაურით, რომელიც შეესაბამება სხვა ფაკულტეტების სათაურების კონცეფციას. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და სიცხადეს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, წესდების სახელმძღვანელო მითითებების დაცვას და ყველა საგანმანათლებლო ერთეულის თანმიმდევრული იდენტობის შენარჩუნებას. ფაკულტეტის სახელწოდება „საინჟინრო ეკონომიკა, მედია ტექნოლოგიები და სოციალური მეცნიერებები“ არ არის საკმაოდ ნათელი. უნდა გადაიხედოს სათაური და მისია, იმისათვის რომ მისია, როლი და საქმიანობა აისახოს დეპარტამენტებში.

თითოეულ ფაკულტეტზე წარმოდგენილია დიდი რაოდენობის დეპარტამენტები. რამდენიმე ფაკულტეტზე (მაგალითად, ინფორმატიკა, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერია, ბიზნეს ტექნოლოგიები) დეპარტამენტებში ფიქსირდება აქტივობების გადაფარვა. ვინაიდან დეპარტამენტებში იკვეთება აქტივობების გადაფარვა გაურკვეველია თითოეული დეპარტამენტის როლი და მათი ურთიერთობა პროგრამებთან (მაგ. "ტელეკომუნიკაციის ინჟინერია" და "რადიოინჟინერია და მაუწყებლობა", "გამოთვლითი მათემატიკა" და "ხელოვნური ინტელექტი", "ელექტროენერგეტიკული ინჟინერია და ელექტრომექანიკა" და "ელექტროინჟინერია და ელექტრონიკა", "მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიები" და "სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგიები", "ტრანსპორტი და სამრეწველო მექანიკა" და "სარკინიგზო ტრანსპორტი", "ბუღალტერია, ანალიზი და აუდიტი" და "ფინანსური და საბანკო ტექნოლოგიები"). მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტზე არ არის შექმნილი აკადემიური დეპარტამენტები. საჭიროა თითოეულ ფაკულტეტზე მინიმუმამდე იყოს დაყვანილი დეპარტამენტების რაოდენობა ევროპული პრაქტიკის დაცვის მიზნით, სადაც რამდენიმე მსგავსი პროგრამა შეთავაზებულია ერთი დეპარტამენტის მიერ (მაგ. ელექტრონული ინჟინერია, მექანიკის / სამრეწველო ინჟინერია, კომპიუტერული ინჟინერია). ფაკულტეტის სახელწოდება " საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი" არ არის დაკავშირებული საქმიანობასთან და კათედრის დასახელებასთან. უნივერსიტეტის აკადემიური და სხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციური ინსტრუქციები რეგულირდება

დებულებებით, რომლებიც დამტკიცებულია სტუ-ს წესდებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული და სენატის მიერ დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდება ასახავს მისი მმართველი ორგანოების, ფაკულტეტების და დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულების არჩევნების ჩატარების წესს. აღნიშნული რეგულაცია მოიცავს არჩევის და დანიშვნის პროცესების დეტალურ პროცედურებს, ასევე კანდიდატების ხედვების და სამოქმედო გეგმების შეფასებას. სტუ-ში საარჩევნო პროცედურები შექმნილია გამჭვირვალედ, სამართლიანად და სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად.

შეზღუდული ინფორმაცია არის წარმოდგენილი კვლევითი ცენტრების შესახებ. მათი მისია და სტრატეგია არ არის ნათელი, ისევე როგორც კავშირი ფაკულტეტებთან, დეპარტამენტებთან და პროგრამებთან. თვითშეფასების ანგარიშში ნახსენებია 15 სხვადასხვა კვლევითი ცენტრი, რაც კვლევითი საქმიანობის გათვალისწინებით წარმოადგენს საკმაოდ დიდ რაოდენობას. შეზღუდული ინფორმაცია არის წარმოდგენილი თითოეულ კვლევით ცენტრთან აფილირებული მკვლევრების შესახებ.

სტუ-მ დანერგა „eFlow“ ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა, რომელსაც საკომუნიკაციოდ იყენებენ მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები. მართვის ერთიანი წესი ადგენს სტანდარტიზებულ პრინციპებს და ნორმებს საქმისწარმოების და დოკუმენტების დამუშავების, მოწესრიგებული დოკუმენტბრუნვის პროცესის, ინფორმაციის ამოღების და დოკუმენტების შედგენისა და გასწორებისთვის. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს რისკების მართვის მეთოდოლოგიური გზამკვლევი და ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა.

სტუ-მ წარმოადგინა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სტუდენტების და პერსონალის ჩართულობის წახალისებას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების წამოწყებას, წამყვან გლობალურ საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან ურთიერთობების ხელშეწყობას, ახალი პარტნიორობის დამყარებას და საერთაშორისო სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მოზიდვის სტრატეგიის გაძლიერებას.

გასაუბრების დროს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია, კერძოდ საერთაშორისო აკრედიტაცია (ABET) დასახელდა, როგორც უნივერსიტეტის შიდა ხარისხის მექანიზმების ეფექტურობის წარმატების ერთ - ერთ ინდიკატორი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ვებგვერდი; • გასაუბრების შედეგები; • სტუ - ს დებულება; • სტრუქტურული ერთეულების რეგულაციები; • მმართველი ორგანოების (მმართველი ერთეულების) არჩევნების ჩატარების წესი; • მართვის ერთიანი წესი; • რისკების მართვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; • ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა; • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.
რეკომენდაციები: • სტუ - ს აქვს დიდი რაოდენობით ფაკულტეტები (ასევე, რამოდენიმე ფაკულტეტზე არის დეპარტამენტების დიდი რაოდენობა) და კვლევითი ინსტიტუტები. რეკომენდებულია, ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის ოპტიმიზაცია და შესაბამისად ფაკულტეტების სახელწოდებების შეცვლა. • რეკომენდებულია, კვლევითი ცენტრების როლის ჩამოყალიბება და მათი ურთიერთკავშირი აკადემიურ დეპარტამენტებთან.
რჩევები: • სასურველია, უნივერსიტეტის ინგლისურენოვან დოკუმენტებში არ იყოს გამოყენებული ტერმინი „უცხოური“ და გამოიყენებოდეს ტერმინი „საერთაშორისო“, რაც გამოხატავს უფრო ინკლუზიურ და გლობალურ მიდგომას. • სასურველია, გადაიხედოს სახელწოდება „საერთაშორისო დიზაინის სკოლა“ და ეწოდოს „საერთაშორისო დიზაინის ფაკულტეტი“ ან მსგავსი სათაური, იმისათვის რომ შესაბამებოდეს სხვა ფაკულტეტების დასახელების კონცეფციას და უზრუნველყოს თანმიმდევრულობა, სიცხადე და უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის და წესდების სახელმძღვანელო მითითებების დაცვა.
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურა წარმოადგენს იერარქიულ ორგანიზაციას, რომელიც მოიცავს სამსახურის უფროსს, უფროსის ორ მოადგილეს და სამ დეპარტამენტს: ხარისხის კონტროლის, ანალიზის და განვითარების დეპარტამენტი, აკრედიტაციის და ავტორიზაციის დეპარტამენტი და პროფესიული პროგრამების დეპარტამენტი. თითოეულ ფაკულტეტზე დანიშნულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ფაკულტეტის აქტიურ მონაწილეობას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განხორციელებაში თავიანთ დონეზე. თითოეულ ფაკულტეტს აქვს მისია, რომლის მიზანია შეაფასოს საგანმანათლებლო პროცესები, შეიმუშაოს თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკურ საჭიროებებზე და გამოწვევებზე მორგებული რეკომენდაციები და განიხილოს ისინი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. მოწოდებული დოკუმენტების და გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა ფაკულტეტის დონეზე სასწავლო პროცესების შეფასება. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზების ზედამხედველობას, საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, სტუდენტების აკადემიური მიღწევების ანალიზს და ფაკულტეტის დონეზე სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების განხილვას. თუმცა, უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე არ განხორციელებულა აღნიშნული ინფორმაციის ანალიზი და აღნიშნული საკითხი არ დაზუსტებულა გასაუბრების დროს. შესაბამისად, შეიმჩნევა პოლისტური ხედვის ნაკლებობა, რომელიც აერთიანებს ყველა ფაკულტეტის მონაცემებს. ასეთ ანალიზს შეუძლია ღირებული ინფორმაციის მოწოდება მთლიანი აკადემიური მოსწრების და ტენდენციების შესახებ, რაც გამოკვეთს საერთო ძლიერ მხარეებს და გაუმჯობესების სფეროებს, რომლებიც შეიძლება გამორჩენილი იყოს ცალკეული ფაკულტეტების განხილვისას. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც გააერთიანებს ყველა ფაკულტეტის მონაცემებს, იმისათვის რომ მოიპოვოს ღირებული ინფორმაცია საერთო აკადემიური მოსწრების და ტენდენციების შესახებ, რითიც გამოვლინდება საერთო ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი სფეროები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა საუნივერსიტეტო დონეზე განხორციელებული მოწვეული, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის შედეგები, რომელიც მოიცავდა მხოლოდ 2023 - 2024 აკადემიურ წელს. უკუკავშირის პროცესში თანმიმდევრულობის და რეგულარობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, ასევე კვლევების განხორციელების და განხილვის მიზნით, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მოწვეული, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრების და რესურსების გამოკითხვების უფრო სისტემატური ყოველწლიური გრაფიკი. პროგრესზე დაკვირვების და ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით აუცილებელია აღნიშნული კვლევების შედეგების სისტემატური ანალიზი და ყოველწლიური შედარება. აღნიშნული რეგულარული შეფასება უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებას და შესაბამისობას უნივერსიტეტის მიზნებთან და სტანდარტებთან. გასაუბრების დროს დადასტურდა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა შიდა ხარისხის მექანიზმების განხორციელებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები განიხილება რექტორატში, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში. წარმოდგენილია გარკვეული მტკიცებულებები. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები წარმოდგენილნი არიან ფაკულტეტის და წარმომადგენლობით საბჭოებში, საერთაშორისო სტუდენტები აქტიურად არ არიან ჩართულნი შერჩევის პროცესში. გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების გაძლიერების მიზნით, რჩევის სახით შეიძლება შეთავაზებული იყოს საერთაშორისო სტუდენტების შესაძლებლობის გაძლიერება მონაწილეობა მიიღონ

ფაკულტეტის და წარმომადგენლობითი საბჭოების მართვის საკითხებში. აღნიშნული უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტების უნიკალური პერსპექტივების და საჭიროებების გათვალისწინებას და გადაჭრას, რაც ხელს შეუწყობს უფრო ყოვლისმომცველი და წარმომადგენლობითი მმართველობის სტრუქტურას.

უნივერსიტეტში დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ მონაცემთა ბაზას (www.vici.gtu.ge). მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტების მონაწილეობა გამოკითხვებში ნებაყოფლობითია, რამდენიმე სტუდენტურ ჯგუფთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კითხვარების შევსება სავალდებულოა, რადგან სისტემა არ აძლევს სტუდენტებს უფლებას გადავიდნენ სხვა გვერდებზე ან იხილონ საგამოცდო ქულები. განსხვავებული პასუხი იქნა მიღებული ერთი საერთაშორისო სტუდენტისგან, რომელმაც აღნიშნა, რომ მას ჰქონდა საშუალება გამოეტოვებინა კითხვარი. უფრო მოქნილი და მოსახერხებელი გამოცდილების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია სტუდენტების კითხვარების შევსება არ იყოს სავალდებულო მხოლოდ ზოგიერთი სტუდენტისთვის (პასუხი არ იყო დადებითი ყველა სტუდენტისგან). აღნიშნული ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტის ნებაყოფლობით და ჭეშმარიტ უკუკავშირს სხვა მნიშვნელოვან აკადემიურ ინფორმაციაზე, მათი წვდომის შეზღუდვის გარეშე. სტუდენტებთან გასაუბრებამ გამოავლინა, რომ მათი კითხვარები შემოიფარგლება პროგრამის, კურსების და ლექტორების შეფასებით. ასევე განსხვავებული იყო სტუდენტების მოსაზრებები კმაყოფილების კითხვარებში ადმინისტრაციის და ინფრასტრუქტურის საკითხების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ზოგიერთი სტუდენტი აღნიშნავდა კითხვარებში ასეთი კითხვების არსებობას, ზოგი კი აღნიშნავდა რომ მსგავსი კითხვები არ იყო გათვალისწინებული. სტუდენტების უკუკავშირის აღნიშნული ცვალებადობა შეიძლება გამოწვეული იყოს კითხვარის შევსების სავალდებულო ხასიათით, რა დროსაც შესაძლოა სტუდენტებმა სწრაფად გადახედონ კითხვებს რათა სწრაფად დაასრულონ კითხვარის შევსება. აღნიშნულმა ნაჩქარევმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მათ გადახედონ გამოკითხვის გარკვეულ მონაკვეთებს ან სრულად არ ჩაერთონ გამოკითხვის ყველა ასპექტში.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია. სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის აღნიშნული მეთოდოლოგიის ინდიკატორები მოიცავს გამოცხადებული საკონკურსო ადგილების რაოდენობას, დარეგისტრირებული აბიტურიენტების რაოდენობას, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობას, შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობას, შეწყვეტილი სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობას, ადგენილი სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობას, ერთიანი ეროვნული გამოცდების / ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობას, მობილობით გადასული სტუდენტების რაოდენობას (შიდა მობილობის ჩათვლით), მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობას (შიდა მობილობის ჩათვლით), შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობას (მათ შორის, კვალიფიციური) და ერთიანი ეროვნული გამოცდების / ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობას. დეკანებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა მეთოდოლოგიის პრაქტიკული გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ვებ-გვერდი; • ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშები; • საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შემადგენლობა; • 2023 - 2024 წლების აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები; • პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება; • ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიში - 2022; • სტუდენტთა კონტინენტის ფორმირება და მოზილობა; • სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია; • გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც გააერთიანებს ყველა ფაკულტეტის მონაცემებს, საერთო აკადემიური მოსწრების და ტენდენციების შესახებ ღირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რაც გამოავლენს საერთო ძლიერ მხარეებს და გასაუმჯობესებელ სფეროებს. • რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მოწვეული, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრების და რესურსების (მაგ. ბიბლიოთეკა) კვლევების განხორციელების და განხილვის უფრო სისტემატური ყოველწლიური გრაფიკი. პროგრესზე დაკვირვების და ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით აუცილებელია აღნიშნული კვლევების შედეგების სისტემატური ანალიზი და ყოველწლიური შედარება. აღნიშნული რეგულარული შეფასება უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებას და უნივერსიტეტის მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობას. • უფრო მოქნილი და მოსახერხებელი გამოცდილების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, რომ კითხვარების შევსება არ იყოს სავალდებულო მხოლოდ ზოგიერთი სტუდენტისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტის ნებაყოფლობით და ჭეშმარიტ უკუკავშირს, სხვა მნიშვნელოვან აკადემიურ ინფორმაციაზე მათი წვდომის შეზღუდვის გარეშე.
რჩევები: • სასურველია, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების გაძლიერება, რაც საერთაშორისო სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის და წარმომადგენლობითი საბჭოების მართვის საკითხებში.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • ABET - ის (აკრედიტაციის საბჭო ინჟინერიის და ტექნოლოგიების მიმართულებით) აკრედიტაცია
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: როგორც სტუდენტებისთვის ასევე პერსონალისთვის სტუ-ს შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები. უნივერსიტეტში დანერგილია „სამეცნიერო პლაგიატის არსებობის შემოწმების წესი“, რომელიც ასახავს რეგულაციებს და მექანიზმებს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით. ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით 2018 წლის 23 მარტიდან უნივერსიტეტი იყენებს პროგრამას "Strikeplagiarism". გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალისთვის ხორციელდება სემინარები და ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ. ხელოვნური ინტელექტის განვითარებიდან გამომდინარე, სასურველია, რომ უნივერსიტეტმა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით შეიმუშაოს და განახორციელოს პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა უნდა შეეხოს აკადემიურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობით გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლებას ეთიკურ შედეგებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროა მათი წვლილის კეთილსინდისიერების და ორიგინალურობის შესანარჩუნებლად. ეთიკის კოდექსი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას სწავლებაში და კვლევაში. აღნიშნული თავისუფლებების მხარდაჭერით, კოდექსი ხელს უწყობს ისეთ გარემოს, სადაც განმანათლებლებს შეუძლიათ აღმოაჩინონ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები და ინოვაციური კვლევის თემები, ხოლო სტუდენტები წახალისებულნი არიან კრიტიკულად და შემოქმედებითად ჩაერთონ სწავლაში, ხელი შეუწყონ ინტელექტუალური ზრდის და აღმოჩენის კულტურას. გასაუბრების შედეგებმა გამოავლინა, რომ როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები იცავენ და აფასებენ აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. აღნიშნული საერთო ვალდებულება აკადემიური თავისუფლებისადმი ხელს უწყობს გარემოს, სადაც აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს შეუძლიათ განაგრძონ კვლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ეთიკის კოდექსი; • "Strikeplagiarism" პროგრამის გამოყენების წესი; • შინაგანაწესი; • სამეცნიერო პლაგიატის არსებობის შემოწმების წესი; • ვებგვერდი; • გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: • ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი ახალი ტენდენციაა, რეკომენდებულია მიჰყვეთ ევროპი, აშშ - ს ან დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტების მიღწევებს ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკასთან

დაკავშირებით. (სტანდარტი 2.3) რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე. (სტანდარტი 2.3)
რჩევები: სასურველია, უნივერსიტეტმა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით შეიმუშაოს და განახორციელოს პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა უნდა შეეხოს აკადემიურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლებას ეთიკურ შედეგებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროა მათი წვლილის კეთილსინდისიერების და ორიგინალურობის შესანარჩუნებლად.
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუმჯობესების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და ხედვას. ამჟამად, უნივერსიტეტი ახორციელებს 167 საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის 73 საბაკალავრო, 57 სამაგისტრო და 36 სადოქტორო პროგრამას. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 13 ფაკულტეტი, რომლებიც ახორციელებენ 167 საგანმანათლებლო პროგრამას ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებზე, ასევე ხორციელდება ერთი ქართულ ენაში მომზადების პროგრამა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი", რომელიც აღწერს სასწავლო გეგმის სტრუქტურას, სემესტრულ გეგმას, პროგრამას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას, საგანმანათლებლო პროგრამების განახლების მექანიზმების მოქმედების პროცედურას. წესი ასევე მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებს. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თავდაპირველ და შემდგომ ეტაპებზე იყენებს შრომის ბაზრის კვლევის როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდოლოგიას. უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა: vici.gtu.ge სტუდენტებისთვის, ხოლო viciadmin.gtu.ge აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ელექტრონული სისტემა მოიცავს სტუდენტების და უნივერსიტეტის პერსონალის მონაცემთა ბაზებს, ასევე ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი კომპონენტების და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შესახებ. აღნიშნული სისტემის მეშვეობით სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ აკადემიური რეგისტრაცია სისტემიდან და მიიღონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაცია, პროფესორებს და ადმინისტრაციას შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის მართვაში. აღნიშნული სისტემის გამოყენებით ხდება სტუდენტების გამოვითხვა და ანალიზი. ამჟამად უნივერსიტეტს აქვს ერთი ABET - ის (აკრედიტაციის საბჭო ინჟინერიის და ტექნოლოგიების მიმართულებით) მიერ აკრედიტებული "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი პროგრამა და დამატებით 8 პროგრამა მზადდება ABET აკრედიტაციის მისაღებად. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებთან აკადემიური ხარისხის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. დაწესებულებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების განხორციელების და გაუმჯობესების წესები და პროცედურები. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გაძლიერების მიზნით (მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, ტრანსპორტი, სამთო და გეოინჟინერია, საავიაციო ინჟინერია, ბიზნეს ორგანიზაცია და ა.შ.), უნივერსიტეტს დანერგილი აქვს მექანიზმი პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, როგორც საერთაშორისო პროექტების, ასევე ადგილობრივი ბიზნესების შესაძლებლობების გამოყენებით(არემჯი, ლაიონ ტრანსი, თეგეტა მოტორსი, 31- ე საავიაციო ქარხანა, ჰაიდელბერგემენტი, ანაგი და სხვ.). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამების განვითარების მექანიზმები კლასტერული მიდგომების

გათვალისწინებით. უნივერსიტეტმა შესაძლოა დაიწყოს აღნიშნული კლასტერული მიდგომების გათვალისწინება. მაგალითად, დამსაქმებლებმა ერთდროულად უნდა შეაფასონ არა მხოლოდ საბაკალავრო, არამედ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და შეფასების წესი“. აღნიშნული წესის მიხედვით, სტუ ზედამხედველობს პროგრამების დამტკიცებას, ცვლილებების განხორციელებას და გაუქმებას. პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უნივერსიტეტი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, კონსულტაციებს პროფესიულ ასოციაციებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ადგილობრივი და საერთაშორისო დონის საუკეთესო პრაქტიკებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში. • საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები. • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • ამჟამად უნივერსიტეტს აქვს ერთი ABET - ის (აკრედიტაციის საბჭო ინჟინერიის და ტექნოლოგიების მიმართულებით) მიერ აკრედიტებული "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი პროგრამა და დამატებით 8 პროგრამა მზადდება ABET აკრედიტაციის მისაღებად. • საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გაძლიერების მიზნით (მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, ტრანსპორტი, სამთო და გეოინჟინერია, საავიაციო ინჟინერია, ბიზნეს ორგანიზაცია და ა.შ.), უნივერსიტეტს დანერგილი აქვს მექანიზმი პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, როგორც საერთაშორისო პროექტების, ასევე ადგილობრივი ბიზნესების შესაძლებლობების გამოყენებით (არემჯი, ლაიონ ტრანსი, თეგეტა მოტორსი, 31- ე საავიაციო ქარხანა, ჰაიდელბერგცემენტი, ანაგი და სხვ.).
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროგრამის შემუშავებისას, უნივერსიტეტი ითვალისწინებს კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემის ძირითად პრინციპებს (ECTS), ასევე საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის რეგულაციებს. პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ისე რომ შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების საფეხურზე მინიჭებულ კვალიფიკაციას. კონკრეტული სფეროს სწავლის შედეგები ეფუძნება დეტალური სფეროს აღმწერს და შემუშავებულია კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად. პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს კომპონენტების ლოგიკურ კავშირს და ითვალისწინებს თითოეული კომპონენტის სპეციფიკას და მოთხოვნებს. დაგეგმილი სწავლის შედეგები და სტუდენტების დატვირთვა ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვით საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტმა გონივრულ ვადაში უნდა მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრულ შედეგებს, რაც მოწმდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზით. პროგრამებში კომპონენტების მოცულობა განისაზღვრება მათი შინაარსის, სწავლის შედეგების და დარგის სპეციფიკის მიხედვით. სწავლების - სწავლის მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკურ მახასიათებლებს, იმისათვის რომ უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა განსაზღვრულ ვადაში. 2018 - 2023 სასწავლო წლებში განხორციელდა სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება. აღნიშნული ცვლილება შეეხო მიღების წინაპირობებს, კერძოდ, სავალდებულო გახდა B2 დონეზე უცხო ენის

ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენა ან მისაღები გამოცდის ჩაბარება. გასაუბრების დროს ზოგიერთმა რესპონდენტმა გამოავლინა უცხო ენაზე შედარებით სუსტი კომუნიკაციის უნარი. უცხო ენის ცოდნის დაბალი დონიდან გამომდინარე, მათ გაუჭირდებოდა სტატიების გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალებში (Scopus, Web of Science, Erih Plus და ა.შ.). აღნიშნული სირთულეების დაძლევის მიზნით რეკომენდებულია მისაღები გამოცდაზე ინგლისური ენის ტესტის გაძლიერება, გასაუბრების ჩატარება ან ნაშრომის შესრულება. უცხო ენებს შორის არჩევანის გაკეთების დროს, როგორც არის ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული და ა.შ., უმჯობესია უპირატესობა მიენიჭოს ინგლისურ ენას, სადაც ეს შესაძლებელია და სასურველია. უნივერსიტეტი მის პროგრამებში სტუდენტებს სთავაზობს არჩევით კურსებს, სავალდებულო არჩევით კურსებს, არჩევით კურსებს ძირითადი მიმართულებიდან და თავისუფალ კომპონენტებს. არჩეულ კურსებთან დაკავშირებით სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს ფაკულტეტის დეკანატებში და აკადემიურ დეპარტამენტებში. სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში აღწერილი სწავლების - სწავლის მეთოდები ასახავენ დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და კლასიფიკატორთან შესაბამისობის მიზნით, ზოგიერთ პროგრამას კვალიფიკაციებთან ერთად მიენიჭა თანამედროვე და მომგებიანი სახელწოდებები: (1) "ტელეკომუნიკაციის" პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა "ციფრული ტელეკომუნიკაციის ტექნოლოგიები". (2) პროგრამას "მექანიკის ინჟინერია და წარმოების პროცესები" ეწოდა "მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიები". (3) პროგრამას „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ ეწოდა „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. საგანმანათლებლო სისტემიდან გამომდინარე, თითოეულ სტუდენტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. კატალოგის განახლება ხორციელდება პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კატალოგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის და გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. როგორც ჩატარებული გასაუბრებებიდან და წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებს სთავაზობს სწავლების - სწავლის და შეფასების შესაბამის ფორმებს და პირობებს განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების, განსხვავებული აკადემიური მზაობის, ადაპტირებული გარემოს შესაძლებლობებს და შესაბამის ადამიანურ რესურსებს საჭიროების შემთხვევაში. სტუ - ს აქვს დიდი გამოცდილება საინჟინრო განათლებაში და ასევე სთავაზობს პროგრამებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და სხვა სფეროებში. უნივერსიტეტი თავის მისიაში და სტრატეგიული განვითარების გეგმაში უპირატესობას არ ანიჭებს მხოლოდ საინჟინრო პროგრამებს, არამედ მოიცავს სხვა სფეროებსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გაძლიერდეს უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარები როგორც სადოქტორო, ასევე სამაგისტრო პროგრამებისთვის. • რეკომენდებულია, მისაღებ გამოცდაზე ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის გაძლიერება, ან გასაუბრების ჩატარება, ან მოთხოვნებში ნაშრომის შესრულების კომპონენტის დანერგვა.
რჩევები: • სასურველია, უცხო ენებს შორის არჩევანის გაკეთების დროს, როგორც არის ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული და ა.შ., უნივერსიტეტმა უპირატესობა მიანიჭოს ინგლისურ ენას, სადაც ეს შესაძლებელია და სასურველია.
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის გაზომვადი, რეალისტურად მისაღწევი და შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებასა და ბრძანება №739908-ს პროგრამების სიის დამტკიცების შესახებ. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია პროფესორების, მოწვეული ლექტორების, ინდუსტრიის ექსპერტების, დამსაქმებლებისა და სტუდენტების ჩართულობით, რაც შეესაბამება ინდუსტრიის სპეციფიკურ და შრომითი ბაზრის ამჟამინდელ მოთხოვნებს. შესაბამისი ფორმები, კომპონენტები და მეთოდები განსაზღვრავს, თუ როგორ აღწევენ სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად შექმნილია კონკრეტული სასწავლო კურსები. კურსის შედეგები დეტალურად არის აღწერილი კურსის სილაბუსში და თითოეული შედეგისთვის შერჩეულია შეფასების შესაბამისი მეთოდი. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტურია და მოიცავს შეფასების შუალედურ და ფინალურ ფორმებს. შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: წერითი გამოცდა; ზეპირი გამოცდა; საკონტროლო ტესტი; ესე; აბსტრაქტი; პრაქტიკული სამუშაო; ლაბორატორიული სამუშაოები; პროექტი და ა.შ. შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით. უნივერსიტეტში ცოდნის შემოწმება სხვადასხვა გზით ხდება: წერითი გამოცდა, ზეპირი გამოცდა, პროექტის პრეზენტაცია პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოებით და ა.შ. გამოცდების უმეტესობა საგამოცდო ცენტრში ტარდება. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემისა და მასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ. ინფორმაცია პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების შეფასების შესახებ წარმოდგენილია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.gtu.ge) და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ დოკუმენტებში: (ა) - კონკრეტულად, საგანმანათლებლო

კომპონენტები (სტუდენტის შედეგები, კურსის სწავლის შედეგები) შეფასებულია საგანმანათლებლო პროგრამებში, სილაბუსებსა და უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“; (b) - სამეცნიერო კვლევითი კომპონენტები შეფასებულია სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების წესების მიხედვით. უნივერსიტეტს გააჩნია "სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელებისა და შეფასების წესები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში", რომელიც არეგულირებს პრაქტიკული სწავლების ფარგლებში მიღებული შედეგების შემუშავებისა და შეფასების პროცესს. უნივერსიტეტმა მიიღო "საბაკალავრო კვლევითი პროექტის/თეზისის წესი". ამ წესების მიხედვით, სტუდენტის საკვალიფიკაციო მუშაობის დროს შემუშავებული სწავლის შედეგები შეფასებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაზე. შეფასებისთვის გამოიყენება შესაბამისი კრიტერიუმები. უნივერსიტეტმა მიიღო „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი“, რომელიც აფასებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. ეს წესი ასევე ეხმარება სტუდენტებს ეფექტურად დაგეგმონ თავიანთი დრო, შეაფასონ რესურსები და ა.შ. უნივერსიტეტმა მიიღო დოკუმენტი "სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესები". ეს დოკუმენტი მოიცავს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასებას, ასევე დროის ეფექტური დაგეგმვის, აკადემიური რესურსების რაციონალური გამოყენების და აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ოპტიმიზაციის უნარების განვითარების შეფასებას. უნივერსიტეტმა შექმნა სტუდენტების შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა. ამ პლატფორმის სამომავლო განვითარებისათვის, სასურველია ახალი ფუნქციების დამატება, როგორიცაა სტუდენტების შეფასება იმავე შედეგებთან მიმართებით, როგორც წინა წლებში იმავე კოჰორტაში. უნივერსიტეტს აქვს შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემა, რომელიც რეგულირდება „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში“. შეფასების გასაჩივრების სისტემა განსაზღვრავს შეფასების სისტემასა და უნივერსიტეტის შეფასების სტანდარტებს. ეს სისტემა იყენებს გამჭვირვალე კრიტერიუმებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შესაფასებლად და სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას მათი მიღწეული მიზნების, გამოცდის შედეგების, ხარვეზებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან დაწესებულების შეფასების სისტემისა და მასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- სწავლის შედეგების დოკუმენტაცია;
- კითხვარები, ანალიზი, მონიტორინგი;
- სტუდენტთა გამოკითხვა
- სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი;
- სწავლის პროცესის მართვის ინსტრუქცია
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი.
- ინტერვიუს შედეგები.

•

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

- სასურველია, რომ სტუ-მ შეიმუშაოს ციფრული პლატფორმა, რომელშიც მოხდება სწავლის შედეგების შეფასების სისტემატური მართვა

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სტუს გააჩნია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და წარმოადგენს მათი შესრულების საშუალებას. სტუს შემუშავებული აქვს შესაბამისი მმართველი ორგანოს/ორგანოების მიერ დამტკიცებული პერსონალის რეკრუტირების პროცედურა, აღნიშნული მოიცავს გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის შერჩევასა და დასაქმებას აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე. უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების წესები. აკადემიური თანამდებობის მქონე თითოეული პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ სტუსთან, მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში. სტუს-სა და უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის გაფორმებულია აფილირების ხელშეკრულება, იგი განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხებში. აფილირებული აკადემიური პერსონალი ახორციელებს საბაზისო საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას სტუს-ში და კვლევის შედეგები განიხილება როგორც სტუს-ს დასკვნები. აფილირებული აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სტუს-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა ძირითად საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობის პრინციპები განათლებასთან, კვლევასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აღწერილია უნივერსიტეტის წესდებაში.

უნივერსიტეტმა განსაზღვრა და დანერგა შემდეგი მექანიზმები: აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის გადამზადების მექანიზმი/წესები; აკადემიური, მოწვეული პროფესორებისა და მასწავლებლებისთვის დამატებითი ხელფასის (ბონუსების) მინიჭების წესი; პერსონალის მივლინების დაფინანსების წესი; აკადემიური პერსონალის დასაქმების წესი; აკადემიური პერსონალის აფილირების წესი; ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე დასაქმებისა და შენარჩუნების სტრატეგია; დამხმარე პერსონალის ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის აყვანის წესი.


უნივერსიტეტმა დანერგა პროფესიული განვითარების სისტემა თანამშრომლებისათვის. უნივერსიტეტი სთავაზობს პროფესიული განვითარებისა და ტრენინგ პროგრამებს თავისი თანამშრომლებისთვის (მაგალითად, ტრენინგი პროფესიული განვითარების ცენტრში, შიდა საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო სტიპენდიების შეთავაზება, შიდა საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო გრანტები კვლევითი პროექტებისთვის და ა.შ.).

ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის სტატისტიკურ მონაცემებსა და ინფორმაციას დასაქმებული პერსონალის შესახებ (მაგალითად, პერსონალის განაწილება სქესის, ასაკის მიხედვით და ა.შ.). საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აკადემიური პერსონალის ხელფასი 25% ით გაიზარდა, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალისა 100/130% ით. აკადემიური პერსონალის საშუალო ასაკი 6 წლით

შემცირდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსები შედგება აკადემიური, სამეცნიერო, სასწავლო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან. ამის გარდა, რამდენიმე ცნობილ პროფესორს პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, მთელი მსოფლიოს გარშემო, აქვს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება და ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ სტუ-სთან.

ინფორმაცია პერსონალის გადანაწილებასთან დაკავშირებით გენდერისა და ასაკის მიხედვით მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში, რომელიც წარადგინა სტუმ: პერსონალის რაოდენობა - 1186; აქედან მამრობითი სქესის: 648; მდედრობითი სქესის: 538; სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა: 330; აქედან მამრობითი: 177; მდედრობითი - 153; გადანაწილება ასახულია მოცემულ დიაგრამაზე:



როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები, 65 წელზე მეტი ასაკის პერსონალი, პროცენტულად უფრო მეტია ვიდრე ნებისმიერი სხვა ასაკობრივი ჯგუფი. სტუს პერსონალის საშუალო ასაკი მცირედით იზრდება: თვითშეფასების ანგარიშში მოცემული მონაცემების მიხედვით, 2021 წელს სამეცნიერო პერსონალის საშუალო ასაკი 61 წელი იყო, 2022 წელს 62, ხოლო 2023 წელს 63. აკადემიური პერსონალის საშუალო ასაკი 2021 წელს 56 წელი იყო, 2022 წელს 57, ხოლო 2023 წელს 58 წელი.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის სამტატო განრიგის თანახმად, უნივერსიტეტის პერსონალის სრული რაოდენობა შეადგენს 2044 ადამიანს და მათი ერთობლივი თვიური ხელფასი შეადგენს 2483218,25 ლარს (აქედან 957 ადამიანი აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება, 762 ადმინისტრაციულსა და დამხმარე პერსონალს ფაკულტეტებზე, 325 ადამიანი კი საუნივერსიტეტო/ცენტრალური ადმინისტრაციის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს).

უნივერსიტეტის მიერ 2024 წელს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პერსონალთან მიმართებით რაოდენობრივი მონაცემები ასეთია: პერსონალის სრული რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩათვლით) – 4092. აკადემიური პერსონალის სრული რაოდენობა – 1184 (აკადემიური პერსონალიდან ყველა აფილირებულია უნივერსიტეტთან). სამეცნიერო პერსონალის სრული რაოდენობა – 380. სწავლებაში ჩართული საერთაშორისო აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა – 8. კვლევაში ჩართული საერთაშორისო აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა – 1. მოწვეული პერსონალის სრული რაოდენობა – 448.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - 2071 აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სრული რაოდენობა - 2012. აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი - 98%; მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი - 100%; ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი: 97%. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა აღემატება აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სრულ რაოდენობას (შეფარდება: 2071/2012). უნივერსიტეტი უნდა დაფიქრდეს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაციაზე და გააუმჯობესოს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის რაოდენობის შეფარდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან მიმართებით.

უნივერსიტეტის აქტივობების მართვისათვის, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა განსაზღვრა პერსონალის სამიზნე ნიშნულები 2027 წლისათვის. მაგალითისათვის, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფარდების შემთხვევაში სტუდენტების რაოდენობასთან, ფაქტობრივი ნიშნული არის 2012/17992 (1/8.9), ხოლო სამიზნე ნიშნული შეადგენს 2012/23000 (1/11,43). უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, საუნივერსიტეტო დონის სამიზნე ნიშნულები არ არის განსაზღვრული 2027 წლისათვის და მხოლოდ ფაქტობრივი ნიშნულებია შემოთავაზებული, მაგალითად, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის შეფარდება მოწვეულ პერსონალთან: ფაქტობრივი შეფარდება შეადგენს 1564/448, ხოლო სამიზნე შეფარდება არ არის განსაზღვრული 2027 წლისათვის. სასურველია, რომ ჩამოყალიბდეს სამიზნე ნიშნულები არამხოლოდ საფაკულტეტო დონეზე, არამედ საუნივერსიტეტო დონეზეც, ყველა სამიზნე ნიშნულთან მიმართებით, რომელიც მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის შაბლონით.

ინტერვიუების განმავლობაში, გაირკვა, რომ პერსონალი ინფორმირებულია პერსონალის მართვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით. ისინი იღებენ ინფორმაციას ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები მარტივად არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ინსტიტუციამ მარტივად ხელმისაწვდომი უნდა გახადოს პერსონალის მართვის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ინსტიტუციის ვებ-გვერდზე.

უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პერიოდულ შეფასებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და აკადემიური მომსახურების აქტივობების ინდივიდუალური შეფასება ხორციელდება სტუდენტების სემესტრული კითხვარების საშუალებით. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო აქტივობების შეფასება ხორციელდება დეპარტამენტის, ფაკულტეტისა და კვლევითი ინსტიტუტის დონეებზე ყოველწლიური ანგარიშის მომზადებით. ფაკულტეტები და ინსტიტუტის შესაბამისი დეპარტამენტები, ისევე როგორც კვლევითი ინსტიტუტები, შეიმუშავენ ყოველწლიურ ანგარშებს სამეცნიერო სამუშაოსთან დაკავშირებით. ფაკულტეტების/კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო აქტივობის თვითშეფასების ანგარიშის ფორმის ბოლოში მოცემულია ორი კრიტერიუმი, სადაც სამეცნიერო/აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობა ფასდება ინდივიდუალური სახელებისა და გვარების მითითებით. ეს კრიტერიუმებია: მკვლევარების სამეცნიერო პროდუქტიულობა ციტირების ინდექსზე დაყრდნობით, სამეცნიერო ნაშრომების მეცნიერზომეულური მონაცემები - სამეცნიერო მონაცემები, რომელიც ინდექსირებულია ისეთ სამეცნიერო ბაზებში, როგორიცაა Web of Science, Scopus, Google Scholar და სხვა.

ინტერვიუების ფარგლებში ნახსენები იყო, რომ წლის ბოლოს, აკადემიური პერსონალის ავსებს „აკადემიური პერსონალის კითხვარი სამსახურში აყვანის კონკურსის ვალდებულებების შესრულების შესახებ“, რომელიც

გადაეცემა დეპარტამენტის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ზემოთხსენებული კითხვარის მაგალითები დამატებითი დოკუმენტაციის სახით. ასევე, მსგავსი დოკუმენტაცია იყო მოთხოვნილი სამეცნიერო პერსონალთან მიმართებითაც. თუმცა, ფორმები არ მოიძებნა ინსტიტუციის მიერ დამატებით გამოგზავნილ დოკუმენტაციაში.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობა ფასდება არაპირდაპირი გზით, კერძოდ, მომსახურებითკმაყოფილების შესახებ კითხვარების შედეგების გაანალიზებით, ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცესში. რეკომენდებულია, ინსტიტუციამ შეიმუშაოს და დაწეროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმი.

უნივერსიტეტი პერსონალის შეფასების შედეგებს იყენებს პერსონალის მართვის პროცესში, ფინანსური წახალისების გაცემით პერსონალის განსაკუთრებული მიღწევებისთვის. ეს დადასტურდა როგორც ინტერვიუების დროს, ისე რექტორის ბრძანების მაგალითის წარდგენით აკადემიური/ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფინანსური წახალისების შესახებ.

სტუ-ს განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისა და ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ. ეს მოთხოვნები მოცემულია სამუშაოს აღწერებისა და ფუნქციების შესაბამის დოკუმენტებში. სტუ ქირაობს პერსონალს, დაქირავების განსაზღვრული წესის თანახმად და პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სტუ-ს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პერსონალის მართვის პოლიტიკა
- უნივერსიტეტის წესდება
- ადმინისტრაციული რეგულაციები
- პერსონალის პოზიციების ინსტრუქციები
- ფაკულტეტის რეგულაციები
- აკადემიური პერსონალის სამუშაოს აღწერა
- ხელშეკრულების ნიმუშები;
- აკადემიური და სასწავლო პერსონალის ტრენინგების წესი
- აკადემიური, მოწვეული პროფესორებისა და სასწავლო პერსონალის დამატებითი ხელფასის (ბონუსების) წესი
- აკადემიური პერსონალის დასაქმების წესი
- დამხმარე პერსონალის დაქირავების წესი
- პერსონალის სამუშაო მივლინების დაფინანსების წესი
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი
- აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე ახალგაზრდა პერსონალის დასაქმებისა და შენარჩუნების სტრატეგია
- დამხმარე პერსონალის ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ტრენინგების სია
- სტუს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასების წესი, <https://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/2023/153-2.pdf>
- საგრანტო ნომინაციებზე (გრანტები რომელიც საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან ფინანსდება), პროექტების წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესები; https://gtu.ge/pdf/sauniversiteto_grantis_regulaciebi%20.pdf
- 2023 წელს განხორციელებული სამეცნიერო სამუშაოების ანგარიში (ნაწილი I და II) <https://gtu.ge/Research/report-2023.php>
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის თვითშეფასების ფორმა
- სამტატო განრიგი
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარის ანგარიში 2023-2024 წლებისათვის
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კითხვარის ანგარიში 2023-2024 წლებისათვის
- ფაკულტეტის მიერ განხორციელებული სტუდენტთა კითხვარების ანგარიშები (2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრი)
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2022
- სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმის განხორციელების ნახევარწლიანი ანგარიშები
- სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმის განხორციელების წლიური ანგარიშები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რეკომენდაციები ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით, 19/10/2023
- 2018-2021 წლების ინსტიტუციური შეფასების ანალიზის დოკუმენტი
- ფაკულტეტების მიერ კვლევითი კომპონენტის შეფასება
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის ცხრილი 2023-2024 აკადემიური წლისათვის
- რექტორის ბრძანება აკადემიური/ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფინანსური წახალისების შესახებ
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და განახორციელოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმირეკომენდებულია, სამიზნე ნიშნულების ჩამოყალიბება არა მხოლოდ ფაკულტეტის / სკოლის დონეზე, არამედ უნივერსიტეტის დონეზე, რომელიც მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის შაბლონით. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია და

გაუმჯობესოს ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის თანაფარდობა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან მიმართებით. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით მარტივად ხელმისაწვდომი გახადოს პერსონალის მართვის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები. (სტანდარტი 4.1.)
რჩევები: არ ეხება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა უსდ - ის აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ - ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო - კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ყოველი სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტი შეიმუშავებს განახლებადი დატვირთვის სქემებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს სწავლებას, სამეცნიერო კვლევასა და სხვა დატვირთვას, კონკრეტული პერსონალის დავალებებისა და ვალდებულებების საფუძველზე. 2021 წელს უნივერსიტეტში შემუშავდა აკადემიური პერსონალის დატვირთვის ახალი სქემა. აკადემიური თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დატვირთვის სქემა მოიცავს სამ კომპონენტს: ა) სასწავლო-პედაგოგიურს; ბ) ხელმძღვანელობის ვალდებულება და საგანმანათლებლო პროგრამებით შემოღებული სტაჟირების სუპერვიზია; გ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 23 ივნისის №01-06-02/25 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე აკადემიური პერსონალის ნუსხა, ანაზღაურება, ვადები და დატვირთვის ლიმიტები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გეგმები მოიცავს კვლევით საქმიანობას (მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობა) და/ან სწავლებას (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული, საკურსო სამუშაო/პროექტი და ა.შ.). აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემები ასევე თან ერთვის მათ სამუშაო შეთახნმებს უნივერსიტეტთან. მაგალითად, პროფესორის ხელშეკრულების დანართი მოითხოვს კვირაში 8-10 საათს, ანუ 240-დან 300 საათამდე ყოველწლიურად, როგორც სასწავლო დატვირთვას/საგანმანათლებლო და პედაგოგიურ აქტივობებს (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორიული, საკურსო სამუშაო და საკურსო პროექტი, კონსულტაციის მოვალეობები და სტაჟირების მიმდინარეობის კონტროლი და სხვ.). სტუ-ს აკადემიური პერსონალი არ იმუშავებს 1100 საათზე მეტს ყველა სხვა უნივერსიტეტში, სადაც უკავიათ აკადემიური თანამდებობა/აქვთ სასწავლო დატვირთვა. ეს მოთხოვნა მოცემულია აკადემიური დატვირთვის განაწილების ფორმაში, რომელიც მოიცავს სვეტს წარწერით „კვირის დატვირთვა სხვა უნივერსიტეტში“. უნივერსიტეტის რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე პერსონალის თანამდებობის მქონე პირს არ აქვს უფლება დაიკავოს აკადემიური, უფროსი მასწავლებლის, მასწავლებლის ან პროფესორის მასწავლებლის თანამდებობა სრული დატვირთვით. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, რომლის თანახმადაც აკადემიური პერსონალი აფორმებს აფილირების ხელშეკრულებებს მხოლოდ სტუ-სთან. გამონაკლისის სახით, სტუ-ს აკადემიურმა საბჭომ შეიძლება ნება დართოს ცალკეულ აკადემიურ პერსონალს, გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. აღსანიშნავია, რომ ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია უნივერსიტეტთან. პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სტუ ითვალისწინებს მიმდინარე და დაგეგმილ სტუდენტთა კონტინენტს, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკურ მახასიათებლებს და საგანმანათლებლო პროგრამების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისა და განსაზღვრისას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის სტუდენტთა რაოდენობასთან თანაფარდობის ფაქტობრივი ნიშნული არის 1/8,9, სამიზნე ნიშნული 2027 წლისთვის არის 1/11,43. უსდ-ს აკადემიური პერსონალის ჯამური რაოდენობა 1184-ს შეადგენს. ყველა მათგანი აფილირებულია და

ემსახურებიან 167 საგანმანათლებლო პროგრამას (მათგან 156 არის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა). თვითშეფასების ანგარიში დეტალურად აღწერს უნივერსიტეტის გამოცდილებას, თუ როგორ განისაზღვრება აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამის მიხედვით (იგივე პროცედურა იყო აღწერილი და დადასტურებული პროგრამების ხელმძღვანელებთან/დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან/დეკანებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრისას): პირველ რიგში, კონკურსები აკადემიური პერსონალის ძირითადი რაოდენობისათვის ტარდება ერთდროულად. კონკურსამდე, არსებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შესაბამისი სასწავლო კურსები დაჯგუფებულია ე.წ. „საგნობრივ ჯგუფებად“. თითოეული საგნობრივი ჯგუფისათვის წლიური აკადემიური დატვირთვა (საათებში) დგინდება სტუდენტთა მიმდინარე და საპროგნოზო კონტიგენტის მიხედვით. აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ზემოთხსენებული დატვირთვიდან განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვის რაოდენობას. პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორების, ასისტენტებისა და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული პროფესორების საჭირო რაოდენობა კონკრეტული საგნობრივი ჯგუფისთვის განისაზღვრება აღნიშნული „საგნობრივი ჯგუფის“ წლიური დატვირთვის აკადემიური პერსონალის დატვირთვაზე გაყოფით მიღებული რიცხვის მიხედვით, საგნობრივი ჯგუფის მახასიათებლებისა და შესაბამისი პროგრამების გათვალისწინებით. არ არის ნათელი, ახლდება თუ არა ეს დატვირთვა ყოველწლიურად პროგრამებზე სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი/წესი/მეთოდოლოგია აკადემიური პროგრამების მიხედვით (ან ვებ ბმულები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მათზე წვდომა). აღნიშნული მეთოდოლოგიის დოკუმენტი ექსპერტებმა ვერ მოიძიეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტებში. რეკომენდებულიასტუ-მ შეიმუშაოს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც ჩამოაყალიბებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას აკადემიურ პროგრამებთან მიმართებით. ასეთი დოკუმენტები ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე.

დაწესებულების მენეჯმენტის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია ხარისხის გაუმჯობესებაზე მიზნობრივი KPI-ის შემუშავებისას. ამჟამად უნივერსიტეტს 18 000 სტუდენტი ჰყავს და 2027 წლისთვის ამ რიცხვის 23 000-მდე გაზრდას გეგმავს. ამჟამად 5 საგანმანათლებლო პროგრამაა წარდგენილი აბეტის აკრედიტაციაზე. ასევე, მათი ერთ-ერთი ორიენტაცია იქნება ორმაგი ხარისხის და ერთობლივი პროგრამების შემუშავება და ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ ყველაფრის გაკეთება ბევრად მარტივი იქნება 2025 წელს დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავების შემდეგ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მიზეზები, თუ რატომ შეირჩევა პერსონალისთვის ასეთი სამიზნე ნიშნულები. ეს მიზეზები ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) დაწესებულების მრავალფუნქციურობას; ბ) დაწესებულების რესურსებს (არა მხოლოდ ადამიანური რესურსები); გ) დაწესებულების მიკროეკონომიკას – დაწესებულების შემოსავლები და ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პერსონალის მართვის პოლიტიკა
 - უნივერსიტეტის სქემა
 - უსდ-ს მიერ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები;
 - აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამებთან;
 - აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა თანაფარდობა;
 - აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა - მოწვეულ პერსონალთან ;
 - აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა - მთლიან აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან
 - აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან.
 - ადმინისტრაციული რეგულაციები
 - პერსონალის პოზიციების ინსტრუქციები
 - ფაკულტეტის რეგულაციები
 - აკადემიური პერსონალის სამუშაოს აღწერა
 - ხელშეკრულების ნიმუშები;
 - აკადემიური პერსონალის დასაქმების წესი
 - დამხმარე პერსონალის დაქირავების წესი
 - აკადემიური პერსონალის აფილირების წესი
 - დამხმარე პერსონალის ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები
 - საშტატო განრიგი
 - აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის ცხრილი 2023-2024 აკადემიური წლისათვის
 - პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას საგნმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტები მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ვებ-გვერდზე

რჩევები:

- სასურველია, დარეგულირდეს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის მოდელი (სასწავლო საათების რაოდენობა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები) ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი დოქტორანტების და კვლევითი პროექტების რაოდენობის გათვალისწინებით.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**შეფასება**

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ეს დოკუმენტები საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ვებგვერდს აქვს სპეციალური განყოფილება სტუდენტებისათვის, რომელიც შეიცავს მათთვის ყველაზე რელევანტურ დოკუმენტებს. შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით, ეს რეგულაციები სამართლიანია, გამჭვირვალე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი. ინსტიტუცია უზრუნველყოფს განსაზღვრული პროცედურების დროულ და ეფექტურ განხორციელებას. ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურა, რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან არსებული რეგულაციებისა და მათი ხელმისაწვდომობის შესახებ.

წარმოდგენილი ფინანსური ხელშეკრულებები ადასტურებს, რომ უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის: სტუდენტისა და დაწესებულების უფლებებსა და მოვალეობებს. ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით, ხელშეკრულების გაფორმებამდე სტუდენტები იღებენ დეტალურ ინფორმაციას ზემოთმოცემულ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით.

დაწესებულებას აქვს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და ინფორმაცია სტუდენტების აპელაციებთან დაკავშირებით. მაგალითად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ გაასაჩივრონ თავიანთი შეფასებები. სტუმ შეიმუშავა აპელაციის პროცედურის ობიექტური და გამჭვირვალე პროცედურა. დისციპლინური საჩივარის შემთხვევაში დაწესებულებას ჰყავს ეთიკის კომისია, რომელიც მოქმედებს ეთიკის კოდექსის მიხედვით.

სტუდენტებთან ინტერვიუები მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ იციან შეფასების გასაჩივრების არსებული პროცედურა, მათ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ეთიკის კომისიის როლისა და ფუნქციების, ასევე ეთიკის კოდექსის მოქმედებისა და ამოცანების შესახებ. შესაბამისად, სასურველია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების სრულყოფილად ინფორმირება როგორც ეთიკის კომისიის, ასევე ეთიკის კოდექსის შესახებ.

მმართველ ორგანოებში სტუდენტთა წარმომადგენლობა და მონაწილეობა უზრუნველყოფილია. სტუდენტი წევრები წარმოდგენილი არიან როგორც სტუს წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი), ისე თითოეულ საფაკულტეტო საბჭოში. სტუდენტი წევრების არჩევის პროცესები, ასევე საბჭოში სტუდენტების პროპორცია დეტალურად არის აღწერილი უსდ-ის რეგულაციებში. ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურა, რომ სტუდენტთა წარმომადგენლობა მმართველ ორგანოებში უზრუნველყოფილია და ხორციელდება შიდა რეგულაციების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, არაწევრი სტუდენტები, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტები, არ არიან საკმარისად ინფორმირებული სენატსა და ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტების წარმომადგენლობის შესახებ.

გარდა ამისა, შემდეგი სფეროები გამოყოფილი აქვს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს (იხ. 2. 7.1.):

1. 538.21 კვ.მ. - მისამართი: კოსტავას ქ. 77, VII კორპუსი, IV სართული; მომხმარებლის პირადობის მოწმობა 204666977;
2. 513.57 კვ.მ. - მისამართი: კოსტავას ქ. 77, VII კორპუსი, V სართული; მომხმარებლის პირადობის მოწმობა 204666977;
3. 110.9 კვ.მ. - მისამართი: #1, VI სართული; მომხმარებლის პირადობის მოწმობა 202374251;
4. 587.65 კვ.მ. - მისამართი: #1, VII სართული; მომხმარებლის პირადობის მოწმობა 202374251;
5. 1,049.6 კვ.მ. - მისამართი: #1, VIII სართული; მომხმარებელი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
6. 175.37 კვ.მ. - მისამართი: #1, V სართული; მომხმარებლის პირადობის მოწმობა –202294980;
7. 274.04 კვ.მ. - მისამართი: #1, VI სართული; მომხმარებლის პირადობის მოწმობა –202294980;
8. 425 კვ.მ. - მისამართი: ნოე რამიშვილის 12, I სართული; მომხმარებლის პირადობის მოწმობა - 404595176;
9. 150 კვ.მ. - მისამართი: ნოე რამიშვილის 17; მომხმარებლის პირადობის მოწმობა - 404595176;
10. 422.32 კვ.მ. - მისამართი: ნოე რამიშვილის 12; მომხმარებლის პირადობის მოწმობა - 405337960;

შესაბამისად, საჯარო რეესტრის ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, სტუ-ს მფლობელობაში ან სარგებლობაში რეგისტრირებულია 128 638.17 კვ.მ. ამ ფართობიდან 3 186,29 კვ.მ. იჯარით გაცემულია და 4 246.66 კვ.მ. გამოყოფილია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისათვის. სტუ-ს თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ კონსტრუქციების აზომვითი ნახაზების მიხედვით (იხ. 3. 7.1-დან), სასწავლო ფართი შეადგენს 108 678.945 კვ.მ., ხოლო დამხმარე ფართი 78 868.955 კვ.მ. სასწავლო და დამხმარე ფართები მკაფიოდ არის გამოყოფილი. სასწავლო ფართები მოიცავს სასწავლო აუდიტორიებს, საკონფერენციო ოთახებს, პროფესორთა კაბინეტებს, სასწავლო/სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკებს (წიგნების საცავის გამოკლებით) და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა ფართებს. თუმცა, არ არსებობს დაზუსტებული ერთიანი დოკუმენტი, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა სასწავლო ფართების მონაცემების მიღება და აზომვითი დეტალების გადამოწმება შემთხვევითი შერჩევით. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო/სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიები, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა და შესაბამისი მარაგები (რეაგენტები, სასწავლო მასალები და ა.შ.), რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტთან წინასწარ შეთანხმებული ინფრასტრუქტურა:

1. ადმინისტრაციული შენობა – სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზები; კოსტავას ქ. 77, თბილისი, საქართველო 0160
2. პირველი კორპუსი – აუდიტორიები, ლაბორატორიები, ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრები; კოსტავას ქ.68 თბილისი, საქართველო 0160
3. მე-3 კორპუსი – შახტა-ლაბორატორია, მუზეუმი; კოსტავას ქ.77 თბილისი, საქართველო 0160
4. მე-6 კორპუსი – კრიმინოლოგიის ლაბორატორია, არქეოლოგია; კოსტავას ქ. 77 თბილისი, საქართველო 0160
5. მე-8 კორპუსი – ლაბორატორიები; კოსტავას ქ. 77 თბილისი, საქართველო 0160
6. მე-9 კორპუსი – ლაბორატორიები; კოსტავას ქ. 77 თბილისი, საქართველო 0160
7. მე-11 კორპუსი – აუდიტორიები, ლაბორატორიები; გურამიშვილის ქ. 17 თბილისი, საქართველო 0192
8. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი. გრიგოლ ფერაძის ქ. თბილისი, საქართველო 0159

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ წვეოდნენ შემდეგ ლაბორატორიებს:

- ტელეკომუნიკაციების ლაბორატორიას
- SCADA ლაბორატორიას

- კომპიუტერული ქსელების ლაბორატორიას
- მეტალურგიისა და მადნეულის მოპოვების ლაბორატორიას
- სამთო პროგრამული უზრუნველყოფის ლაბორატორიას
- მთის ლაბორატორიას
- გამოთვლითი ინტელექტის ლაბორატორიას
- გამოთვლითი ფიზიკის ლაბორატორიას
- ენერგეტიკის ლაბორატორიას
- ქიმიური პროცესების ლაბორატორია



ზოგიერთი ლაბორატორია ძალიან კარგად არის აღჭურვილი და მიღებული აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია. ექსპერტთა ჯგუფი უაღრესად კმაყოფილი იყო ზოგიერთი ლაბორატორიის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდაჭერით. ლაბორატორიებში რამდენიმე ინფრასტრუქტურა ძვირადღირებულია. გამოწვევა მდგომარეობს იმაში, რომ ამ ლაბორატორიებში აღჭურვილობის მოვლა-პატრონობის ხარჯები შეიძლება იყოს ძალიან მაღალი (მაგ. გვირაბები მეტალურგიისა და სამთო დეპარტამენტში, გაზომვები ქიმიასა და სოფლის მეურნეობაში). მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციისა და ლაბორატორიების მონახულების საფუძველზე, შეუძლებელია დასკვნის გაკეთება, თუ არსებული ინფრასტრუქტურით რამდენად კარგად არის შესაძლებელი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა ლაბორატორიული სამუშაოს სრულად შესრულება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ლაბორატორიების მოკლე აღწერილობითი ანგარიში. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფისათვის არ იქნა მიწოდებული.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სტუ-ს მიერ საანგარიშო პერიოდში დასრულებული მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო პროექტისა, შემოწმებული ინფრასტრუქტურის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ განთავსებულია სარემონტო შენობებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებული შენობებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურიდან დადგინდა, რომ მე-11 კორპუსი (მისამართი: გურამიშვილის ქ. #17), ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი (მისამართი: გიორგი ფერაძის ქ.#4) და ადმინისტრაციულ შენობა (მისამართი: კოსტავას ქ. #77) შეესაბამება უსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტებს. ეს მოიცავს სანიტარულ კვანძების, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ადაპტაციისადმი მოთხოვნებს. დანარჩენი შენობების თაობაზე ადმინისტრაციამ მიუთითა, რომ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ან დაგეგმილია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფისა და სანიტარული კვანძების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, დაგეგმილია მე-6 სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია. რამდენიმე შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა, რომ სარემონტო სამუშაოები ნამდვილად მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, ყოვლისმომცველი მოსაზრების შესაქმნელად, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დეტალური ინფორმაცია თითოეული შენობის მიმდინარე და დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების, მათ შორის სანიტარული კვანძების რაოდენობის, ბიუჯეტისა და გრაფიკის შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა გარკვეული ინფორმაცია ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ (იხ. 4. 7.1-დან), მაგრამ ეს ინფორმაცია არ იძლევა საერთო სიტუაციის სრულ სურათს. კერძოდ, წარმოდგენილი იქნა მხოლოდ I კორპუსის ორი სანიტარული კვანძის არქიტექტურული პროექტი და ადმინისტრაციული შენობის სანიტარული კვანძების პროექტი. დამატებით, წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება მე-6 კორპუსის სარემონტო სამუშაოებზე 2023 წლისათვის (ღირებულება: 2 344 770 ლარი), სტუ-ს I კორპუსზე 2023 წლისათვის (ღირებულება: 124 999 ლარი) და სტუ-ს რამდენიმე კორპუსზე მიმდინარე წლისათვის (ღირებულება: 2 504 429 ლარი), მათში შეტანილ ცვლილებებთან ერთად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შიდა საუნივერსიტეტო დოკუმენტები:

1. „გათბობის სისტემის ფუნქციონირების აქტი“ (იხ. 7.1-ის 5.);
2. „ელექტრო ქსელების და ელექტროგამანაწილებელი მოწყობილობების

ფუნქციონირების შესახებ აქტი“ (იხ. 7.1-ის 6.);

3. „აქტი წყალმომარაგებისა და სადრენაჟე სისტემის ფუნქციონირების შესახებ“ (იხ. 7.1-ის 7);
4. "პერსონალის მოქმედებების ინსტრუქცია ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველსაყოფად" (იხ. 7.1-ის 8);
5. სამედიცინო პერსონალის მოვალეობა და ერთ-ერთ თანამშრომელთან (ოფთალმოლოგთან) გაფორმებული ხელშეკრულება (იხ. 7.1-ის 9);
6. დარაჯის პოზიციაზე მყოფ ერთ-ერთ თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და შესასრულებელი ამოცანების (ფუნქციების) ჩამონათვალი (იხ. 7.1-ის 10.).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით (იხ. 7.1-ის 11), უნივერსიტეტს გააჩნია დაცვის სამსახური. ამ სამსახურში შედის უფროსი, უფროსის მოადგილე და ჯგუფის ხელმძღვანელები (ოთხი საშტატო ერთეული). დარაჯის თანამდებობაზე პერსონალი დაქირავებულია ხელშეკრულებით.

ვიზიტის დროს სტუ-ს თანამშრომლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუში გამოითქვა გარკვეული წუხილი კვების ობიექტის არქონასთან და ზოგიერთ ფაკულტეტზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობასთან დაკავშირებით. ხაზგასმით აღინიშნა სანიტარული კვანძების განახლების აუცილებლობა. ინტერვიუს საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით დაგეგმა II კორპუსის დათვალიერება. ვიზიტის შედეგად აღინიშნა, რომ მიუხედავად კორპუსის ნაწილებში დაწესებულების მიერ ჩატარებული გარკვეული სარემონტო სამუშაოებისა, დარჩენილი ლაბორატორიების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ საჭიროებს განახლებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და სამომავლოდაც დაგეგმილია.

რომ შევაჯამოთ, რამდენიმე შენობა თანამედროვე, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისია, რამდენიმე შენობა გარემონტდა; რამდენიმე საკმაოდ ძველია და მათი რემონტი დაგეგმილია. ყველა შენობას გააჩნია საგანმანათლებლო, კვლევისა და ექსტრაკურთკულური აქტივობების მხარდასაჭერი შესაძლებლობები ყველა დისციპლინისათვის, ინჟინერიიდან დაწყებული, სოფლის მეურნეობითა და სოციალური მეცნიერებებით დამთავრებული. არ არსებობს მკაფიო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როდის დასრულდება შენობებში ყველა სარემონტო სამუშაო.

სტუ-ს მონახულებული შენობები მოიცავს საკლასო ოთახებს, ლაბორატორიებს, ოფისებს და ა.შ. შენობები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (მერხები, სკამები) და IT აღჭურვილობით (კომპიუტერები, დაფები, პროექტორები) სასწავლო პროგრამებისა და კვლევითი აქტივობებისთვის, რათა დააკმაყოფილოს ფაკულტეტების მისიის მოლოდინი. ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ ლაბორატორიებში რამდენიმე კომპიუტერი ძველია მოძველებული ოპერაციული სისტემით (მაგ. არიან მაღალი კიბერუსაფრთხოების რისკის ქვეშ). რამდენიმე ტუალეტში არ არის კვამლის დეტექტორები.

სანიტარული კვანძები არ იყო ყველა კორპუსში. რამდენიმე კორპუსს არ აქვს ლიფტი და არ არის უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების (შშმ სტუდენტების) მობილობისათვის. ხანძრის შემთხვევაში ევაკუაციის გეგმა არ არის თვალსაჩინო ყველა შენობაში. თითოეულ შენობაზე არ არის მიმაგრებული მეხანძრე, რომელიც ადგენს ხანძრის შემთხვევაში ევაკუაციის პროცედურებს.

როგორც ეს აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში და ასევე, დადასტურდა ინფრასტრუქტურის ინსპექტირებისას:

- თითოეულ აუდიტორიას აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება;
- შენობებს გააჩნიათ დამატებითი ავარიული გასასვლელები;
- დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი აღჭურვილობით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ბუნებრივი ვენტილაციით, ცივი და ცხელი წყლის უწყვეტი მიწოდებით.

- დაწესებულებას გააჩნია სათვალთვალო კამერები და ჩანაწერების შენახვის მოწყობილობები, რომლებიც დამონტაჟებულია შენობის შიგნით და გარეთ, მთელ პერიმეტრზე.

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს აქვთ წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სწავლების გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე, რომლებიც ადაპტირებულია მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე; თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე კორპუსს არ აქვს ლიფტი და არ არის უზრუნველყოფილი მისადგომობა მობილობის პრობლემების მქონე სტუდენტებისათვის (შშმ სტუდენტები).
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მოწყობილია ავტოსადგომი.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სტრატეგიული სამოქმედო გეგმა“ მოიცავს 2022-2024 წლებს. შესაბამისად, არ იძლევა მკაფიო სურათს სამომავლო სარემონტო სამუშაოების გეგმების შესახებ, რაც ართულებს პროცესის შეფასებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს სასარგებლოდ ან/და მიზანშეწონილად შემდეგს:

1. საჯარო რეესტრის დოკუმენტების მიხედვით დაზუსტდეს დაწესებულების საკუთრების და სარგებლობის ფარგლები;
2. საჯარო რეესტრის დოკუმენტების მიხედვით დადგინდეს დაწესებულების მიერ იჯარით გაცემული ფართები;
3. კონსტრუქციების აზომვითი ნახაზების მიხედვით მომზადდეს სასწავლო უბნების შესახებ ერთიანი დოკუმენტი;
4. ლაბორატორიების მოკლე აღწერილობის მოსამზადებლად, წინა სამი წლის მონაცემებზე დაყრდნობით (მათ შორის სტუდენტების რაოდენობაზე) დაზუსტდეს თითოეული ლაბორატორიის საშუალო ყოველკვირეული დატვირთვა და შეფასდეს მისი გამოყენების ზრდის პოტენციალი;
5. მომზადდეს დაწესებულების შენობებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (სანიტარული კვანძები; ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა; განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემო; კვების ობიექტები) დეტალური აღდგენის გეგმა (მაქსიმუმ სამი წელი) და განისაზღვროს სავარაუდო ბიუჯეტი;
6. დადგინდეს განახლების საჭიროების მქონე სასწავლო ლაბორატორიების ჩამონათვალი, მომზადდეს დეტალური სარემონტო გეგმა (მაქსიმუმ სამი წელი) და განისაზღვროს სავარაუდო ბიუჯეტი;
7. მომზადდეს შენობების, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ლაბორატორიების რეაბილიტაციის/რემონტის გეგმის შესაბამისი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების მოძიების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უმრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზები;
- განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები;
- ინფორმაცია მოქმედი იჯარის ხელშეკრულებების შესახებ;
- გათბობის სისტემის ფუნქციონირების აქტი;
- „ელექტრო ქსელების და ელექტროგამანაწილებელი მოწყობილობების ფუნქციონირების შესახებ“ აქტი;
- აქტი წყალმომარაგებისა და სანიაღვრე სისტემის ფუნქციონირების შესახებ;
- ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველსაყოფად პერსონალის ქმედებების ინსტრუქცია;
- სამედიცინო პერსონალის ვალდებულება და ერთ-ერთ თანამშრომელთან (ოფთალმოლოგთან) გაფორმებული ხელშეკრულება;
- დაცვის ერთ-ერთ თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და შესასრულებელი ამოცანების (ფუნქციების) ჩამონათვალი;

- სტუ-ს საშტატო განრიგი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სტუ-მ მოამზადოს დაწესებულების ყველა შენობის და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დეტალური სარემონტო გეგმა (ლაბორატორიების, სანიტარული კვანძების, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს, კვების ობიექტების), (მაქსიმუმ სამი წელი) და განსაზღვროს სავარაუდო ბიუჯეტი. (კომპონენტი 7.1)
- უნივერსიტეტმა, თითოეულ შენობაში უნდა უზრუნველყოს სპეციალური გეგმა და განათავსოს სპეციალური ნიშნები. (კომპონენტი 7.1)
- უნივერსიტეტმა თითოეულ შენობაში უნდა გამოყოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. (კომპონენტი 7.1)
- უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესში, როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის უნდა გაითვალისწინოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პროცედურები. (კომპონენტი 7.1)
-

რჩევები:

- სასურველია, დაზუსტდეს დაწესებულების საკუთრების და სარგებლობის ფართი საჯარო რეესტრის დოკუმენტაციის მიხედვით. (კომპონენტი 7.1)
- სასურველია, დაზუსტდეს დაწესებულების მიერ იჯარით გაცემული ფართი საჯარო რეესტრის დოკუმენტაციის მიხედვით. (კომპონენტი 7.1)
- სასურველია, მომზადდეს სასწავლო ფართების შესახებ ერთიანი დოკუმენტი შენობების აზომვითი ნახაზების მიხედვით. (კომპონენტი 7.1)
- სასურველია, მომზადდეს ლაბორატორიების მოკლე აღწერა, დაზუსტდეს თითოეული ლაბორატორიის საშუალო კვირეული დატვირთვა წინა სამი წლის მონაცემებზე დაყრდნობით (მათ შორის სტუდენტების რაოდენობა) და შეფასდეს მისი გამოყენების ზრდის პოტენციალი. (კომპონენტი 7.1)

სასურველია, შენობებში ერგონომიული სკამების გამოყენება. (კომპონენტი 7.1)

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**შეფასება**

- ☐ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ შესაბამება მოთხოვნებს

7.2. ბიბლიოთეკის რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს გააჩნია ცენტრალური ბიბლიოთეკა (მდებარეობს ცენტრალური ადმინისტრაციის VIII კორპუსში). თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუ-ს ბიბლიოთეკა ყველა დისციპლინის პროფესორებსა და სტუდენტებს სთავაზობს ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებს როგორც სამკითხველო ოთახებში, ასევე დროებით სარგებლობაში. არსებობს პროცესი, თუ როგორ ხდება წიგნების და ჟურნალების თხოვნა. ყველა ფაკულტეტზე სასწავლო და კვლევითი საქმიანობისათვის მოქმედებს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსების მუდმივად განახლების პროცესი. თითოეულ ფაკულტეტს აქვს ასევე სამკითხველო დარბაზი ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული პერიოდული გამოცემებით. გარდა ამისა,

ბიბლიოთეკა შეიცავს წიგნების არქივებს მე-18, მე-19 და მე-20 საუკუნეების ტექნიკური, საინჟინრო და ჰუმანიტარული სპეციალობების ქართული, ევროპული და ამერიკული გამოცემებით. სტუ-ს ბიბლიოთეკა მოიცავს საოფისე ფართს როგორც აკადემიური პერსონალის, ესე სტუდენტებისათვის. თუმცა, არ არის ოთახები, სადაც სტუდენტები შეძლებენ ჯგუფურ პროექტებზე მუშაობას. აქ არის Wi-fi და კომპიუტერები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან. ძალიან დადებითია, რომ სასწავლო რესურსებზე წვდომა ხდება ონლაინ. ვიზიტის დროს ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ემსჯელათ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან შემდეგ ციფრულ მონაცემთა ბაზებზე წვდომის საკითხი: ScienceDirect, Scopus, ACM, e-duke, IMechE მათემატიკური ჟურნალები და ა.შ. პროგრამის სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად თვითშეფასების ანგარიში განსაზღვრავს ბიბლიოთეკის რესურსების განვითარებისა და განახლების პროცედურას. არ არის ნათელი, მიუწვდებათ თუ არა სტუდენტებს ამ მონაცემთა ბაზებზე ხელი, როდესაც ისინი არიან უნივერსიტეტის გარეთ. ახალი მასალის შეძენის მოთხოვნას წარადგენს აკადემიური პერსონალი.

ამასთან, ბიბლიოთეკას არ აქვს წვდომა IEEE (ელექტრო და ელექტრონული ინჟინერიის ინსტიტუტი) ციფრულ ბიბლიოთეკაზე (IEEE Xplore), რაც ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმატიკისა და ენერგეტიკის ფაკულტეტების სადოქტორო პროგრამებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ადგილზე ვიზიტი; • ინტერვიუები; • დამატებით მოწოდებული დოკუმენტები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, დაწესებულება გახდეს IEEE Xplore - ის გამომწერი (კომპონენტი 7.2) • რეკომენდებულია, ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილი იყოს ოთახები ჯგუფური პროექტებისთვის (კომპონენტი 7.2) •
რჩევები: •
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შეესაბამება მოთხოვნებს - X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
7.3 საინფორმაციო რესურსი
უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები. უსდ-ს აქვს მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სტუ-მ იმუშავა ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით. IT დეპარტამენტმა განათავსა ორი მონაცემთა ცენტრი, რომელიც მუშაობს Xen hypervisor-ზე. სტუ-მ დანერგა ელექტრონული სერვისები და ელექტრონული მართვის სისტემების განსხვავებული ნაკრები, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტურობას, ეფექტიანობასა და ხელმისაწვდომობას. მოქმედებს სწავლის მართვის სისტემა (LMS), რომელიც განთავსებულია სხვადასხვა პროგრამებში კურსების მხარდასაჭერად. IT ინფრასტრუქტურა საკმარისია დაწესებულების სხვადასხვა ორგანიზაციული ერთეულების მხარდასაჭერად. უნივერსიტეტმა განათავსა შესაბამისი ინსტრუმენტები სამუშაო ნაკადების მართვისა და ანალიტიკის გენერირებისათვის, რაც უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტილების მიმღებთათვის. პერსონალური მონაცემების მართვისათვის მოქმედებს მონაცემთა დაცვის მექანიზმი. ყველა საგანმანათლებლო კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია და კვლევითი ცენტრი დაკავშირებულია შიდა ქსელთან, რაც უზრუნველყოფს როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების წვდომას ციფრულ სერვისებზე. კომპიუტერები მხარს უჭერენ როგორც Microsoft-ს, ასევე Linux OS-ს. გამოყენებულია როგორც Google, ასევე Microsoft cloud სერვისები. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შენიშნეს, რომ რამდენიმე ლაბორატორია აღჭურვილია მოძველებული ოპერაციული სისტემის მქონე კომპიუტერებით. ეს მთელ სტუ-ს ინტრანეტს უქმნის IT კიბერუსაფრთხოების სერიოზულ რისკს. IT გუნდთან ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ არ არის გათვალისწინებული იდენტიფიკაცია ორმხრივი ფაქტორიანი მიდგომა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია კიბერმოწყვლადობის რისკების შესამცირებლად. დაინსტალირებულია

ანტივირუსული პროგრამა. თუმცა, გაურკვეველია, სად არის განთავსებული მავნე პროგრამების აღმოჩენის პროგრამული უზრუნველყოფა. სტუ-ს ვებ- გვერდი წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში; • დაწესებულებაში ვიზიტი; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის დანერგვა. (კომპონენტი 7.3) • რეკომენდებულია, კომპიუტერებში მოძველებული კიბერ - რისკის ოპერაციული სისტემის შეცვლა. (კომპონენტი 7.3) • რეკომენდებულია, ქსელებზე უკანონო წვდომის საწინააღმდეგო პროგრამის დაყენება. (კომპონენტი 7.3) •
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
7.4 ფინანსური რესურსები
უსდ-ის ბიუჯეტში აღწერილი ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიულ და შუალედურ სამოქმედო გეგმებში აღწერილი აქტივობების შესრულებას. უსდ - ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. უმაღლესი სასწავლებლის ბიუჯეტი ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას. უმაღლეს სასწავლებელს აქვს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სტუ-ს ფინანსური რესურსები გაანალიზებულია როგორც საჯარო (სამთავრობო), ასევე გარე წყაროებით უზრუნველყოფილი რესურსების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი 1.2. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად უზრუნველყოფს ფინანსურ ინფორმაციას (ცალკე დოკუმენტი Excel ფაილში) ასოცირებულს ხელფასებთან, საქონელთან, მომსახურებასთან და ა.შ., კატეგორიის მიხედვით ხარჯების განაწილების ანალიზთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია მწირია. შედეგად, შემუშავებული ფინანსური გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური სენატის მიერ, არ შეიცავს საანგარიშო პერიოდში კატეგორიების მიხედვით ხარჯების დასაბუთებას. ინტერვიუში აღმასრულებელმა გუნდმა ხაზი გაუსვა, რომ ბიუჯეტი არასაკმარისია. თუმცა, როგორც ხედვისა და სტრატეგიის ნაწილი, პრიორიტეტული სფეროები არ არის გამოკვეთილი. ინტერვიუებისას აღმასრულებელმა გუნდმა ხაზი გაუსვა საანგარიშო პერიოდში როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების ზრდას. ეს შეიძლება ასახულ იქნას მოწოდებულ ფინანსურ გეგმებში. თუმცა, არ არის მოწოდებული ინფორმაცია საქონლისა და მომსახურების კატეგორიასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდასთან დაკავშირებით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს საშუალება მიეცათ წვეოდნენ რამდენიმე ლაბორატორიას, სადაც ამჟამად გამოიყენება ფიზიკური აღჭურვილობა. არსებობს მოვლა-პატრონობის ღირებულებასთან (მაგ. გვირაბი მეტალურგიისა და სამთო დეპარტამენტში) დაკავშირებული ხარჯები (OPEX) რამდენიმე ლაბორატორიის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარჯები

შეიძლება იყოს საკმაოდ მაღალი. არ არსებობს მდგრადი მოდელი ასეთი ინფრასტრუქტურის მოსავლეად.

არ არსებობს შესაბამისი ძირითადი შესრულების ინდიკატორების (KPI) მეტრიკა ხარჯების სხვადასხვა კატეგორიაში ბიუჯეტის განაწილების ეფექტურობის შესაფასებლად. საჭიროა სტუ-მ შეიმუშაოს მდგრადი მოდელი და შეამციროს ასეთი ხარჯები. მნიშვნელოვანია გადაიხედოს ინვესტიციები რეალურ ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობაში და დარეგულირდეს ლაბორატორიული აქტივობები VR და პროგრამული შესაძლებლობების გამოყენებით, როგორც სასწავლო პროგრამის მიწოდების ნაწილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ; • ვიზიტი; • ფინანსური ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მოამზადოს სტრატეგიული / სამოქმედო გეგმა შენობების, ინფრასტრუქტურის და ლაბორატორიების რეაბილიტაციის / რემონტის შესაბამისი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების მოძიების მიზნით, რეკომენდებულია ფინანსური გეგმის გადახედვა და ეფექტურობის შეფასების მიზნით ძირითადი შესრულების ინდიკატორების გამოყენება.
რჩევები: • ზოგიერთი ლაბორატორიის (მაგ. მეტალურგიის გვირაბი) მოვლა-პატრონობა ჯდება ძალიან ძვირი. მიზანშეწონილია მათი ჩანაცვლება პროგრამული ინსტრუმენტებით
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორს
ბატონ ალექსანდრე წულაძეს

ბატონო ალექსანდრე,

განვიხილეთ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 10 სექტემბრის №1093217 წერილით წარმოდგენილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტი და წარმოგიდგენთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან და შეფასებებთან დაკავშირებით.

I სტანდარტი - დასკვნის პროექტის მიხედვით შეფასება: „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

კომპონენტი 1.1.

რეკომენდაცია №1.

„რეკომენდებულია, დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს სტუ-ის საქმიანობის სტრატეგიული ორიენტირი მისიის დოკუმენტით განსაზღვრული ოთხი საყრდენის მიმართ.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტის მისიის განაცხადი და მისგან გამომდინარე ჩამოყალიბებული ხედვა თუ ღირებულებები ეფუძნება გლობალური სამყაროს განვითარებულ ნაწილში აღიარებულ ხედვებსა და ღირებულებებს, აგრეთვე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისადმი მიკუთვნებულ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისტორიულ დანიშნულებას და საუკუნოვან აკადემიურ, სოციალურ და კულტურულ ტრადიციას. უნივერსიტეტის ხედვაში წარმოდგენილია საყრდენი სვეტები ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპების, აგრეთვე სწავლებისა და კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაციის სახით, რომელთა რეალიზების ხარისხი დამოკიდებულია მრავალ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორზე. ამ ფაქტორების ჩამონათვალი ვრცელია, მაგრამ მათგან უმნიშვნელოვანესია მოქმედი კანონმდებლობა, კორპორაციული შესაბამისობა, კვალიფიციური პროცესით უნივერსიტეტის აღიარების ხარისხი, უნივერსიტეტის ღირებულებები, მაღალი და საშუალო დონის მენეჯმენტი და მართვის სტილი, ხარისხის კულტურა, პერსონალის კვალიფიკაცია, ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობა და ყოველწლიური რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობის მაჩვენებლები. ჩამოთვლილი თითოეული მიმართულებისათვის, უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, პერმანენტულად უზრუნველყოფს

ინფორმაციის დამუშავებას, ანალიზს და შეფასებას, რომლის შედეგს შეჯამებული სახით, ყოველწლიურად იხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მისიის პერმანენტული განხორციელებისა და ხედვაში ჩამოყალიბებული ფუნდამენტური/საყრდენი სვეტების რეალიზებისათვის შემუშავებულია დროში განსაზღვრული სტრატეგიის დოკუმენტები და სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომლებიც წარმოადგენენ კვალიფიციურ და კონსტრუქციულ მეთოდოლოგიას და სავალი რუკის განმსაზღვრელ დოკუმენტებს. რაც შეეხება უნივერსიტეტის სტრატეგიის დოკუმენტებზე დაყრდნობით შემუშავებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლსა და შეფასებას, აღნიშნული ხორციელდება შუალედური ანგარიშგებით ყოველ 6 (ექვს) თვეში ერთხელ სასწავლო სემესტრის დასრულებისას, ხოლო წლიური ანგარიშგებით, ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასასრულს. აღნიშნულ ანგარიშგებებს, მათ ანალიზსა და შეფასებებს, აგრეთვე გაცემულ რეკომენდაციებს შესაბამისი (ექვსთვიანი და ერთწლიანი) პერიოდულობით წარადგენს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი და იხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დაწესებულების მისიის და ხედვის განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიასთან, განხორციელების რუკასთან და შეფასების მეთოდებთან მიმართებაში უნივერსიტეტის მიმართ შემუშავებული რეკომენდაციის საჭიროება არ არსებობს.

ექსპერტების პასუხი: მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა განსაზღვრა საყრდენი, რომელიც ამოძრავებს ხედვას, ნათელი არ არის როგორ არის დაკავშირებული სტრატეგია სხვადასხვა აქტივობებთან. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №2.

„რეკომენდებულია, მისიის განაცხადი დაკავშირებული იყოს მიზნებთან, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მათი მონიტორინგი და გაზომვა.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

სტუ-ის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი, შინაარსობრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით, ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

სტუ-ის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიმართულება:

- ❖ ორგანიზაციული განვითარება;

- ❖ ხარისხის უზრუნველყოფა;
- ❖ სწავლა-სწავლება;
- ❖ სამეცნიერო კვლევა და ინოვაცია;
- ❖ ინტერნაციონალიზაცია;
- ❖ სტუდენტური ცხოვრება;
- ❖ სოციალური პასუხისმგებლობა.

უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომელიც უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად აღწერს საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილ აქტივობებს. სამოქმედო გეგმა მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს, შესრულების ვადებს, რესურსებს და განხორციელების ინდიკატორებს. სამოქმედო გეგმა გათვლილია 3 წელზე და მისი განახლება ხდება ყოველწლიურად.

სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს, უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, ახორციელებს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი წელიწადში 2-ჯერ. მონიტორინგის შედეგების ანალიზის და შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ხდება არსებული დოკუმენტის კორექტირების პროექტის შედგენა და მისი ანგარიშის სახით აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა. აკადემიურ საბჭოზე განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული საბოლოო რეკომენდაციების გათვალისწინება ხორციელდება შემდგომი წლის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში. უნივერსიტეტს 2022 წლიდან მიღებული აქვს ISO:9001 სერტიფიკატი. უნივერსიტეტში დანერგილი ISO:9001 პროცედურების მიხედვით, ყოველწლიურად, მზადდება სტუ-ის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმის შესრულების როგორც შუალედური, ისე წლიური ანგარიშები, რომლის მიზანია, სტრუქტურული ერთეულების მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მაჩვენებლების იდენტიფიცირება. მონიტორინგი ხორციელდება სტუ-ში დანერგილი ISO:9001 პროცედურების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მიღწეული შედეგებისა და მიმდინარე გამოწვევების გამოვლენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დაწესებულების მისიის განაცხადის შესაბამისობა უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან არ ბადებს კითხვის ნიშნებს, არ არსებობს სტრატეგიული მიზნების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების გამოწვევა და შესაბამისად არ არსებობს უნივერსიტეტის მიმართ დასკვნის პროექტით შემუშავებული №2 მითითების საჭიროება, მითუმეტეს რეკომენდაციის ფორმით.

ექსპერტების პასუხი: გარდა სტრატეგიის განვითარების დეპარტამენტისა, საჭიროა განისაზღვროს KPI-ები უმაღლეს დონეზე, რათა აკადემიურმა საბჭომ შეძლოს მათი მონიტორინგი. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №3.

„რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა მისიის შემუშავების პროცესში.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისიის განაცხადის განვითარების, ისევე როგორც უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების განაცხადზე მუშაობისას უზრუნველყოფს გამჭვირვალობის და ჩართულობის უმაღლეს ხარისხს, არამხოლოდ საუნივერსიტეტო საზოგადოების და სტრუქტურული ერთეულების, არამედ უნივერსიტეტის პარტნიორი სუბიექტების, კურსდამთავრებულების, განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენელთა და ყველა დაინტერესებულ პირთა თანამონაწილეობით.

ამ თვალსაზრისით, საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტის რექტორმა არაერთგზის პირადად განახორციელა სტრატეგიული მიზნებისა და სტრატეგიული განაცხადების პროექტის დეტალური პრეზენტაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველაზე დიდ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სააქტო დარბაზში, დასწრებისა და ჩართულობის მაქსიმალური მაჩვენებლით. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია შესაბამისი პერიოდის სიახლის სახით გამოქვეყნდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე, აგრეთვე ქვეყნის მასშტაბით მოთხოვნად საინფორმაციო საშუალებებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი იყენებს ყველა სათანადო საინფორმაციო ტექნოლოგიურ საშუალებას განხილვის, მოსაზრებების წარმოდგენის, შესაბამისი ინფორმაციისა და კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მისიის განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფი რეკომენდაციის საჭიროება, უნივერსიტეტთან მიმართებაში, არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის დასაბუთებული მოსაზრება და ვფიქრობთ, საჭიროებაა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა განიხილოს ავტორიზაციის პირველი სტანდარტის 1.1. კომპონენტის შეფასების ცვლილების საკითხი.

ექსპერტების პასუხი: ვიზიტის დროს გაურკვეველი იყო, ჩართულია თუ არა ყველა დაინტერესებული მხარე მისიის განვითარების პროცესში. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

კომპონენტი 1.2.

რეკომენდაცია №4.

„რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულების ხარისხობრივი საზომის განსაზღვრა და მათი დაკავშირება პრიორიტეტებთან.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

სტუ-ის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიმართულება:

- ❖ ორგანიზაციული განვითარება;
- ❖ ხარისხის უზრუნველყოფა;
- ❖ სწავლა-სწავლება;
- ❖ სამეცნიერო კვლევა და ინოვაცია;
- ❖ ინტერნაციონალიზაცია;
- ❖ სტუდენტური ცხოვრება;
- ❖ სოციალური პასუხისმგებლობა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, შესაბამისი მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით, ითვალისწინებს თითოეულ სტრატეგიულ მიმართულების ხარისხობრივ შეფასებას.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის აღწერილობით ნაწილში არ არის მოცემული კონკრეტული მიმართულებები, ამიტომ უნივერსიტეტი მოკლებულია შესაძლებლობად, წარმოადგინოს კონკრეტული არგუმენტაცია. ამასთან, ნაწილი ინფორმაციისა მოცემულია №10 და №11 რეკომენდაციებზე უნივერსიტეტის მიერ გაცემულ პასუხში. რაც შეეხება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დანერგილ და პრაქტიკაში განხორციელებულ სისტემას და მექანიზმებს, რომელიც მასშტაბიდან გამომდინარე მთლიანობაში ფარავს შვიდივე სტრატეგიულ მიმართულებას, წარმოდგენილია უნივერსიტეტის ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში.

ექსპერტების პასუხი: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის გარდა, სხვა დაინტერესებულმა მხარეებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა ხარისხობრივი მეტრიკის განსაზღვრაში. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №5.

„რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულებიდან ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულებისთვის ურთიერთკავშირის რუკების მიწოდება.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტის 7 სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 20 სტრატეგიულ მიზანს. სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე შემუშავებულია საშუალოვადიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა. თითოეული მიზნის საპასუხოდ, სტრატეგიული სამოქმედო გეგმაში მოცემულია ამოცანები, შესაბამისი აქტივობებით. თითოეულ აქტივობასთან მიმართებაში განსაზღვრული და მიკუთვნებულია აქტივობის განმახორციელებელი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი. სტრუქტურული ერთეულების მიკუთვნება კონკრეტულ აქტივობაზე ეფუძნება ამ სტრუქტურული ერთეულების სამსახურებრივ კომპეტენციებს, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრულია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებით და ISO 9001-ის ფარგლებში შემუშავებული დამტკიცებული ერთეულის სამუშაო პროცესის დოკუმენტით.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, სრულად და ნათლად არის უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ხარისხით სტრუქტურებს შორის ურთიერთთანამშრომლობას. შესაბამისად, არ არსებობს №5 რეკომენდაციის გაცემის საჭიროება.

ექსპერტების პასუხი: საჭიროა სტრატეგიული მიმართულებების კასკადირება ორგანიზაციული ერთეულების მიმართ. ეს კასკადი ამჟამად დაკარგულია. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №6.

„რეკომენდებულია, სტრატეგიულ მიზნებში თანასწორობის, მრავალფეროვნების და ინკლუზიურობის გათვალისწინება.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

თანასწორობა, მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა წარმოადგენს უნივერსიტეტის საქმიანობაში გაზიარებულ ღირებულებებს, რომელიც გათვალისწინებულია თითოეული სტრატეგიული მიზნის პერმანენტული მიღწევისათვის დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისას.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: არ არის აშკარა, რომ EDI მიღებულია ორგანიზაციულ ერთეულებში. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №7.

„რეკომენდებულია, ყველა სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგი და შეფასება უმაღლეს დონეზე.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

№2 რეკომენდაციის ფარგლებში აღინიშნა და განმეორებით აღვნიშნავთ, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს, უნივერსიტეტის ყველა

სტრუქტურულ ერთეულთან, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, ახორციელებს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი წელიწადში 2-ჯერ. მონიტორინგის შედეგების ანალიზის და შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ხდება არსებული დოკუმენტის კორექტირების პროექტის შედგენა და მისი ანგარიშის სახით აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა. აკადემიურ საბჭოზე განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული საბოლოო რეკომენდაციების გათვალისწინება ხორციელდება შემდგომი წლის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ეფექტურად ფუნქციონირებს შიდა აუდიტის სამსახური, ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, რომლის საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია წარმოდგენილია საავტორიზაციო დოკუმენტაციაში და მოიცავს ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის კვალიფიციურ შემოწმებას. უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახური, აუდიტის შედეგებს, ყოველწლიური ანგარიშის სახით, წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, სადაც ხდება დეტალური განხილვა და საჭიროების შემთხვევაში მითითებების გაცემა. აკადემიური საბჭო, კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს უნივერსიტეტის უმაღლეს კოლეგიურ ორგანოს. შესაბამისად, რეკომენდაციით გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგის და უმაღლეს დონეზე შეფასების თაობაზე მითითების გაცემის საჭიროება არ არსებობს.

ექსპერტების პასუხი: მნიშვნელოვანია ორგანიზაციული ერთეულების მუშაობის საორიენტაციო მაჩვენებლის განსაზღვრა. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

II სტანდარტი - დასკვნის პროექტის მიხედვით შეფასება: „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

კომპონენტი 2.1.

რეკომენდაცია №8.

„სტუ - ს აქვს დიდი რაოდენობით ფაკულტეტები (ასევე, რამოდენიმე ფაკულტეტზე არის დეპარტამენტების დიდი რაოდენობა) და კვლევითი ინსტიტუტები. რეკომენდებულია, ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის ოპტიმიზაცია და შესაბამისად ფაკულტეტების სახელწოდებების შეცვლა.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას და მუშაობს ამ მიმართულებით. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დონეზე კლასტერიზაციის საკითხი განიხილება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით. ხოლო ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტების ოპტიმიზაციის მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში. მათ შორის სახელწოდება მაში შეიცვლება.

პასუხი ექსპერტებისგან: კომენტარი არ არის მოწოდებული. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №9.

„რეკომენდებულია, კვლევითი ცენტრების როლის ჩამოყალიბება და მათი ურთიერთკავშირი აკადემიურ დეპარტამენტებთან.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტში ფაკულტეტებს, შესაბამისად აკადემიურ დეპარტამენტებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის სასწავლო-სამეცნიერო თანამშრომლობის კარგი გამოცდილება არსებობს და მიმდინარე ეტაპზეც, არაერთი მიმართულებით ხორციელდება თანამშრომლობითი სამეცნიერო პროგრამა მეცნიერების, პროფესორებისა და დოქტორანტების თანამონაწილეობით, როგორც კონკრეტულ დარგობრივ მიმართულებებში, ასევე ინტერდისციპლინურად. ამასთან, უნივერსიტეტი ყოველწლიურად აძლიერებს თანამშრომლობის ხარისხს და გამოყოფს დამატებით რესურსებს ამ მიმართულებით. შესაბამისად, უნივერსიტეტი №9 მითითებას იზიარებს რჩევის სტატუსით.

ექსპერტების პასუხი: აკადემიური დეპარტამენტების სიმრავლის გამო, კვლევითი ცენტრის მისია და ამოცანები ხელახლა უნდა გადაიხედოს რესურსების ოპტიმიზაციისა და კვლევის შედეგების გასაუმჯობესებლად. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

კომპონენტი 2.2.

რეკომენდაცია №10.

„რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც გააერთიანებს ყველა ფაკულტეტის მონაცემებს, საერთო აკადემიური მოსწრების და ტენდენციების შესახებ ღირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რაც გამოავლენს საერთო ძლიერ მხარეებს და გასაუმჯობესებელ სფეროებს.“

რეკომენდაცია №11.

„რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მოწვეული, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრების და რესურსების (მაგ. ბიბლიოთეკა) კვლევების განხორციელების და განხილვის უფრო სისტემატური ყოველწლიური გრაფიკი. პროგრესზე დაკვირვების და ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით აუცილებელია აღნიშნული კვლევების შედეგების სისტემატური ანალიზი და ყოველწლიური შედარება. აღნიშნული რეგულარული შეფასება უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებას და უნივერსიტეტის მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობას.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საავტორიზაციო განაცხადზე თანდართულ, აგრეთვე, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს მოთხოვნილ და დაუყოვნებლივ მიწოდებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს, ყოველწლიურად, სასწავლო/კვლევითი პროცესის და გარემოს კომპლექსურ შესწავლას, ანალიზს, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებასა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს, როგორც საფაკულტეტო, ასევე საუნივერსიტეტო დონეზე. კერძოდ:

1. ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გარე ინსტიტუციური შეფასების ანალიზის დოკუმენტაცია, რომელიც აგრეთვე მოიცავდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანალიზსა და შეფასებას.

2. ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის თითოეული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საფაკულტეტო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც კომპლექსურად სწავლობს, აანალიზებს და აფასებს თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში სასწავლო პროცესს და სასწავლო გარემოს. საფაკულტეტო კომისიების საქმიანობის რეგლამენტი პირდაპირ ითვალისწინებს კომისიის საქმიანობის შედეგების ყოველწლიურ ანგარიშგებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც მიზნად ისახავს სწორედ საუნივერსიტეტო დონეზე კომპლექსური ანალიზის განხორციელებას. ეს მექანიზმი მუშაობს გამართულად და ყოველწლიური ანგარიშების სახით, წარედგინება აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს, აგრეთვე გაიცემა კონკრეტული რეკომენდაციები, რომლის შესრულება აისახება: 1. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებაში; 2. ახალი სასწავლო კურსის შექმნაში; 3. სასწავლო ან კვლევითი კომპონენტების გაძლიერებაში; 4. კონკრეტული მიმართულებით ტრენინგების ორგანიზებაში; 5. ლაბორატორიული ბაზის გაძლიერება/განახლებაში; 6. პრაქტიკის ობიექტების გამრავალფეროვნებაში და სხვ..

3. ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული და მის მიერვე განხორციელებული ზედამხედველობით შესრულებული სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვის ანგარიშები, თითოეული ფაკულტეტის მიხედვით, რომელიც მოიცავდა სამიზნე ჯგუფებს; კვლევის პროცესის აღწერას; კვლევის ზოგად ჩარჩოს, მეთოდოლოგიასა და კვლევის ინსტრუმენტებს; ძირითადი ტენდენციების ანალიზს და ზოგად სტატისტიკურ სურათს, შესაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლებით; სტუდენტთა ზოგად განწყობას განვლილ სასწავლო კურსებთან მიმართებაში; სასწავლო კურსების ხელმძღვანელის/ აკადემიური პერსონალის შეფასებას; პრაქტიკული და ჯგუფური მუშაობის კომპონენტების ეფექტიანობის შეფასებას; სასწავლო კურსების ფარგლებში დასაძლავი სირთულეების შეფასებას; სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების შეფასებას; ლექტორის მიერ

გამოყენებული შეფასების სისტემით კმაყოფილების კვლევას; სასწავლო გარემო-პირობების შეფასებას (სამუშაო გარემო, რესურსებზე წვდომა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა); დასკვნებს და რეკომენდაციებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროცესის ორგანიზებას და სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვის ანგარიშების შემუშავების ზედამხედველობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო და ინტენსიური თანამშრომლობით.

4. ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული და მის მიერვე განხორციელებული ზედამხედველობით შესრულებული კვლევითი კომპონენტის შეფასების ანგარიშები, თითოეული ფაკულტეტის მიხედვით, რომელიც მოიცავდა: სამიზნე ჯგუფებს; კვლევის პროცესს; კვლევის ზოგად ჩარჩოს, მეთოდოლოგიასა და კვლევის ინსტრუმენტებს; ძირითად ტენდენციებს და ზოგად სტატისტიკურ სურათს; სტუდენტის პროფილს და კვლევითი საქმიანობის მიმდინარე ეტაპს; სამეცნიერო ხელმძღვანელის მომსახურების კმაყოფილების კვლევას; კვლევის შედეგების პრეზენტაციის (პროსპექტუსი/კოლოკვიუმი/წინასწარი დაცვა) დაგეგმვა-განხორციელების პროცესისა და მისი მხარდაჭერის ეფექტიანობის შეფასებას; საუნივერსიტეტო კვლევითი ინფრასტრუქტურით და გარემოპირობებით (სასწავლო/კვლევითი რესურსები, მხარდაჭერის სერვისები, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და მათი ხელმისაწვდომობა) კმაყოფილების კვლევას; კვლევის პროცესთან დაკავშირებული სირთულეების შეფასებას; კვლევითი კომპონენტის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების შეფასებას; კვლევის შედეგების დისემინაციისა და ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივების და მათი მხარდაჭერის შეფასებას; დასკვნებს და რეკომენდაციებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროცესის ორგანიზებას და ანგარიშების შემუშავების ზედამხედველობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო და ინტენსიური თანამშრომლობით.

5. ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომელიც ხორციელდება პერმანენტულად, ყოველი სასწავლო სემესტრის (შუალედური) და ყოველი სასწავლო წლის (წლიური) დასრულების შემდეგ. გარდა ამისა, ხორციელდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის სრული ციკლის კომპლექსური შეფასება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის ჩათვლით. ყველა ეს მონაცემი პირველ ეტაპზე აკუმულირდება და ანალიზდება ფაკულტეტის დონეზე, ხოლო შემდგომ, სტანდარტული პროცედურით, საქმისწარმოებისათვის დადგენილი ერთიანი წესის დაცვით იგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, რომელიც ფაკულტეტებიდან შემოსული ინფორმაციის საერთო ჭრილში

შეფასებით, კოლეგა სტრუქტურებთან (აკადემიური დეპარტამენტები, დეკანატები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მეცნიერების და ინოვაციების დეპარტამენტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი და ა.შ.) მჭიდრო თანამშრომლობით გეგმავს და ახორციელებს შემდგომ აქტივობებს.

6. ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიშები, რომლებიც იწარმოება ყოველწლიურად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის ორგანიზებით და მოიცავს: სამიზნე ჯგუფებს; კვლევის პროცესს; კვლევის ინსტრუმენტებს; გამოკითხვაში მონაწილე პერსონალის განაწილებას კატეგორიების მიხედვით; აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგებს; გამოკითხული პერსონალის დემოგრაფიულ, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პროფილებს; კომპეტენციებს და პროფესიულ განვითარებას; საუნივერსიტეტო რესურსების, გარემო-პირობების და მათი განვითარების საჭიროებების შეფასებას; შიდა კომუნიკაციის ხარისხს და ინფორმაციის მართვის ეფექტიანობას; აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საქმიანობებს შორის ბალანსს; პრობლემების მენეჯმენტის ხარისხსა და ეფექტიანობას; საქმიანობის, მათ შორის სწავლა-სწავლებასა და კვლევაში თანამედროვე ტექნოლოგიებით სარგებლობას; სტუდენტთა კომპეტენციებისა და საჭიროებების შეფასებას აკადემიური პერსონალის პერსპექტივიდან; შრომით ანაზღაურებას, წახალისების მექანიზმებს და მათ ეფექტიანობას; კორპორატიულ იდენტობას, კოლეგიალურ გარემოს/ურთიერთობების შეფასებას; უნივერსიტეტის მესამე მისიას; პერსონალის ჩართულობას პროფესიულ, საზოგადოებრივ და სამოქალაქო ორგანიზაციებთან და ასოციაციებში და ძირითად მიგნებებსა და ტენდენციებს.

უნივერსიტეტის ზემოაღნიშნული ექვსპუნქტიანი მითითება სრულად ფარავს ექსპერტთა დასკვნის პროექტის „2.2. კომპონენტის“ აღწერილობით ნაწილში წარმოდგენილ მიმართულებებს №10 და №11 რეკომენდაციებთან მიმართებაში, თუმცა არ წარმოადგენს იმ მექანიზმების და ინსტრუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით.

საავტორიზაციო დოკუმენტაციით, მოქმედი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროგრამული აკრედიტაციის პროცესებით, მათ შორის საერთაშორისო აკრედიტაციის მრავალწლიანი პროცესით 9 პროგრამასთან მიმართებაში, ექვსგარეშე დასტურდება, რომ უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარებისათვის, ისევე როგორც, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში, საუკეთესო ფორმითა და შესაძლებლობით, ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, ყველა კატეგორიის საუნივერსიტეტო საზოგადოების, სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პარტნიორი ორგანიზაციების, საერთაშორისო მრჩეველების, პროფესიული ასოციაციებისა და სახელმწიფო უწყებების ჩათვლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტისათვის, რეკომენდაციებით მითითებულ მიმართულებებში ყოვლისმომცველი ანალიზის ჩატარებასა და მისთვის სისტემატური ხასიათის მიცემის თაობაზე რეკომენდაციის გაცემის საჭიროება არ არსებობს.

ექსპერტების პასუხი: დაწესებულებამ ჩაატარა ფართო კვლევა, რომელიც ჩატარდა თანამშრომლებს შორის (მხოლოდ ერთი წლის შეფასება). ამიტომ არის რეკომენდაციაში გამოყენებული ტერმინი „სისტემური“. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №12.

„უფრო მოქნილი და მოსახერხებელი გამოცდილების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, რომ კითხვარების შევსება არ იყოს სავალდებულო მხოლოდ ზოგიერთი სტუდენტისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტის ნებაყოფლობით და ჭეშმარიტ უკუკავშირს, სხვა მნიშვნელოვან აკადემიურ ინფორმაციაზე მათი წვდომის შეზღუდვის გარეშე.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტის მასშტაბით 2021 წლიდან ფუნქციონირებს Vici.gtu.ge ელექტრონული სისტემა, რომელიც თითოეულ სტუდენტს და ასევე, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო გამოკითხვებში.

ხსენებული ელექტრონული სისტემის მეშვეობით, გამოკითხვების პლატფორმა, უნიკალური კოდის მინიჭების გზით, უზრუნველყოფს თითოეულ გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტის ანონიმურობას და მხოლოდ ნებაყოფლობითობას, გამონაკლისის გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ „2.2. კომპონენტის“ ფარგლებში შემუშავებული №12 რეკომენდაციის გაცემის საჭიროება არ არსებობს.

ექსპერტების პასუხი: სტუდენტებთან სესიების დროს აღნიშნული იყო რომ ეს კითხვარი სავალდებულოა. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

კომპონენტი 2.3.

რეკომენდაცია №13.

„ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი ახალი ტენდენციაა, რეკომენდებულია მიჰყვეთ ევროპის, აშშ-ს ან დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტების მიღწევებს ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკასთან დაკავშირებით.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ყურადღებით აკვირდება და შესაძლებლობის მაქსიმუმით ნერგავს საუკეთესო პრაქტიკას, მათ შორის ტექნოლოგიების განვითარებით წარმოშობილი გამოწვევების საპასუხოდ. ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის როლი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის პროცესში, მისგან გამომდინარე შესაძლებლობები და საფრთხეები და მისი პოზიტიური რეგულირების საუნივერსიტეტო პოლიტიკა. უნივერსიტეტს, ხელოვნური ინტელექტის გამოწვევების თაობაზე კონსულტაციები აქვს მრავალი საერთაშორისო ფორმატით და კოლაბორაციით სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ლოსანჯელესის უნივერსიტეტის, ლონგ აილენდის უნივერსიტეტის, ბონის უნივერსიტეტის და ზადარის უნივერსიტეტის პროფესორებთან, ასევე ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის წარმომადგენლებთან. სამწუხაროდ, დღეისათვის ხელმისაწვდომი, მათ შორის რეკომენდაციაში დასახელებულ ქვეყნებში შემუშავებული ოფიციალური რეკომენდაციები და მიდგომები არის ძალიან ზოგადი და არ იძლევა ფორმალური თვალსაზრისით, საუნივერსიტეტო პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობას. თუმცა უნივერსიტეტი ხედავს გამოწვევას და იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის დამოკიდებულებას საკითხის მიმართ. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ №13 მითითებას უნდა ჰქონდეს რჩევის სტატუსი.

პასუხი ექსპერტებისგან: დამატებითი კომენტარები არ გვაქვს. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №14.

„რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშით და მასზე თანდართული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნებისათვის, უნივერსიტეტი იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას – Strikeplagiarism, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად. პროგრამული უზრუნველყოფა Strikeplagiarism-ი ხასიათდება: პროგრამის მოხმარების სიმარტივით; სწრაფი ოპერირებით; სისტემის დაცულობით და შემოწმების მაღალი სიზუსტით. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, უნივერსიტეტში ხორციელდება, გამონაკლისის გარეშე, ყველა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის შემოწმება პლაგიატზე. შესაბამისად, №14 რეკომენდაციის გაცემის საჭიროება არ არსებობს.

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის ფარგლებში მოწოდებული უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, ვფიქრობთ და საჭიროდ მივიჩნევთ, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილოს ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილების საკითხი.

ექსპერტების პასუხი: ვიზიტისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან სესიების დროს არ იყო ნათელი, ვრცელდება თუ არა პლაგიატის შემოწმება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

III სტანდარტი - დასკვნის პროექტის მიხედვით შეფასება: „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

კომპონენტი 3.2.

რეკომენდაცია №15.

„რეკომენდებულია, გაძლიერდეს უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარები როგორც სადოქტორო, ასევე სამაგისტრო პროგრამებისთვის.“

რეკომენდაცია №16.

„რეკომენდებულია, მისაღებ გამოცდაზე ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის გაძლიერება, ან გასაუბრების ჩატარება, ან მოთხოვნებში ნაშრომის შესრულების კომპონენტის დანერგვა.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტში მოქმედი ყველა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს უცხო ენის და უმრავლეს შემთხვევაში ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დადასტურებას კვალიფიციური პროცესით, რომელიც გამოიხატება: 1. შესაბამისი, აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენით, ან 2. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში ტესტირების შედეგით. მაგისტრანტები და დოქტორანტები, სწავლისა და კვლევის პროცესში ინტენსიურად იყენებენ ინგლისურენოვან ლიტერატურას, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისურენოვან ღონისძიებებში. მათ შორის, ექსპერტთა ვიზიტის დროს, მატერიალური ბაზის დათვალიერებისას, უნივერსიტეტის ყველა სტუტენტმა და თანამშრომელთა დიდმა უმრავლესობამ, თარჯიმანის მომსახურების გარეშე უზრუნველყო საერთაშორისო ექსპერტთან ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია და განმარტებები რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის სურვილია, რომ უცხო ენის ფლობის ხარისხის განვითარება ატარებდეს მუდმივ ხასიათს და ყველა შესაძლებლობას იყენებს ამისთვის, მათ შორის ქმნის და ახორციელებს უცხოურენოვან პროგრამებს, სასერტიფიკატო კურსებს სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის და ა.შ. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ „3.2. კომპონენტის“ ფარგლებში გაცემულ №15 და №16 მითითებებს უნდა ჰქონდეს რჩევის სტატუსი.

ექსპერტების პასუხი: ვიზიტის დროს რამდენიმე სადოქტორო საფეხურის სტუდენტს უჭირდა საუბარი ინგლისურად სასაუბრო დონეზე. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

IV სტანდარტი - დასკვნის პროექტის მიხედვით შეფასება: „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

კომპონენტი 4.1.

რეკომენდაცია №17.

„რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და განახორციელოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმი.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას.

რეკომენდაცია №18.

რეკომენდებულია, სამიზნე ნიშნულების ჩამოყალიბება არა მხოლოდ ფაკულტეტის / სკოლის დონეზე, არამედ უნივერსიტეტის დონეზე, რომელიც მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის შაბლონით.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის მე-5 პუნქტში, მოთხოვნილი ფორმის შესაბამისად, წარმოდგენილი აქვს სამიზნე ნიშნულები. ამასთან, განვმარტავთ, რომ კონკრეტულ პუნქტებში არსებობს ფაქტობრივი რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც, უნივერსიტეტის მოსაზრებით, არის მისაღები და არ საჭიროებს ცვლილებას. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, ხსენებულ პუნქტებში არ დააწესა ახალი სამიზნე ნიშნულები და იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი არ აქვს გამორჩენას, აქამდე არსებული პრაქტიკის შესაბამისად მონიშნა დეფისით.

ექსპერტების პასუხი: ეს მახასიათებლები სასარგებლოა პროგრესის, შენარჩუნების, სტატუსის შეჩერების მონიტორინგისთვის და სწავლის წლების რაოდენობის შემცირებისთვის. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №19.

„რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია და გააუმჯობესოს ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის თანაფარდობა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან მიმართებით.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტმა, 2020 წლიდან განახორციელა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეორგანიზაცია, სამიანონოების ყველა მიმართულებით და ეს პროცესი, სხვა მნიშვნელოვან ამოცანებთან ერთად ითვალისწინებდა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაციას. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით, 2024 წლის მდგომარეობით სახეზეა ჯამში 24%-იანი რაოდენობრივი შემცირების მაჩვენებელი. შესაბამისად, უნივერსიტეტი იზიარებს №19 მითიებას რჩევის სტატუსით.

ექსპერტების პასუხი: ეს რეკომენდაცია მნიშვნელოვანია სხვადასხვა ერთეულის გამართულად მუშაობისთვის. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №20.

„რეკომენდებულია, დაწესებულებამ ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით მარტივად ხელმისაწვდომი გახადოს პერსონალის მართვის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

ავტორიზაციის განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციით, ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის ხელმისაწვდომი იყო პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტაცია. ამასთან, ექვგარეშე დასტურდება, რომ უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს და შედეგობრივადც ადასტურებს ორგანიზაციის ოფიციალური ვებგვერდის განვითარების ფაქტს. ექსპერტებს, ვიზიტისას შესაძლებლობა ჰქონდათ, შეემოწმებინათ უნივერსიტეტის სრულიად განახლებული, შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფილი ორენოვანი ვებგვერდი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ინფორმაციის შევსება-განახლების პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად და ამის საჭიროებას უნივერსიტეტი ადასტურებს. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ „4.1. კომპონენტის“ ფარგლებში შემუშავებული №20 მითიება წარმოადგენს შემავსებელი ხასიათის რჩევას.

ექსპერტების პასუხი: ყველა ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე, ამიტომ არის ასეთი რეკომენდაცია გაცემული. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

კომპონენტი 4.2.

რეკომენდაცია №21.

„რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას საგნმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტები მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, თითოეულ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის სტუდენტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. აკადემიური პერსონალის კონკურსის წინ, მოქმედ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში დგინდება შინაასობრივად მონათესავე სასწავლო კურსები, რომელთაგანაც ყალიბდება ე.წ. „საგანთა ჯგუფები“. თითოეული საგანთა ჯგუფისათვის დგება წლიური აკადემიური დატვირთვა (საათებში) სტუდენტთა მიმდინარე და საპროგნოზო კონტინგენტის მიხედვით; აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დგინდება აღნიშნული დატვირთვიდან აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვის ოდენობა. ამ დატვირთვის „საგანთა ჯგუფის“ აკადემიური პერსონალის დატვირთვაზე შეფარდებით მიღებული რიცხვის საფუძველზე, საგანთა ჯგუფის და შესაბამისი პროგრამების თავისებურებებიდან გამომდინარე, დადგინდება კონკრეტული საგანთა ჯგუფისათვის პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორების, ასისტენტებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული პერსონალის საჭირო რაოდენობა. შესაბამისად, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას, უნივერსიტეტი ეყრდნობა მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილ წარმატებულ გამოცდილებას და ავტორიზაციით გათვალისწინებულ საანგარიშო პერიოდში, ამ თვალსაზრისით, შეფერხებას ადგილი არ ჰქონია.

ექსპერტების პასუხი: ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია მდგრადობისა და პროგრამების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

V სტანდარტი - დასკვნის პროექტის მიხედვით შეფასება: „**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**“.

კომპონენტი 5.1.

რეკომენდაცია №22.

„რეკომენდებულია, სტუ - მ უზრუნველყოს საერთაშორისო სტუდენტების სათანადო დონეზე ინფორმირება სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, იმისათვის რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი უფლება აირჩიონ ან იყვნენ არჩეულები თვითმმართველობის წევრებად.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას, რჩევის სტატუსით და ინტენსიურად აგრძელებს საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა

კომპონენტში საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობის ხარისხის ზრდის ღონისძიებებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტურ პროექტებში ყოველთვის არიან წარმოდგენილი საერთაშორისო სტუდენტები.

ექსპერტების პასუხი: ექსპერტთა ჯგუფი ასევე განმარტავს, რომ სტუდენტების უფლება რომ აიჩიონ ან არჩეულები იყვნენ სტუდენტური თვითმმართველობის წევრად მათი მნიშვნელოვანი უფლებაა. საერთაშორისო სტუდენტებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია და მხარდაჭერა ამ უფლების გამოსაყენებლად; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მათთვის მხოლოდ ფორმალური გაგებით იარსებებს. გარდა ამისა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სტუდენტის უფლებები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სტუდენტებისთვის. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

კომპონენტი 5.2.

რეკომენდაცია №23.

„რეკომენდებულია, სტიპენდიებთან დაკავშირებული პროცესების ფორმალიზება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სტანდარტის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტის პოზიცია:

სტუდენტებისათვის სტიპენდიების გაცემის საკითხი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ისევე, როგორც ყველა სახელმწიფო/საბიუჯეტო ორგანიზაციაში ეყრდნობა მკაცრად ჩამოყალიბებულ სამართლებრივ საფუძვლებსა და პროცედურებს. საქართველოს პირობებში, აგრეთვე კანონმდებლობას. კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ხდება სტიპენდიების დანიშვნა, არის კონკრეტული, ერთმნიშვნელოვანი და თავად პროცესი გამოირჩევა გამჭვირვალობის იმგვარი ხარისხით, რომელიც გამორიცხავს მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას. ყველა კატეგორიისა თუ საფეხურის სტუდენტი, რომელიც კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით ჯდება სტიპენდიით გათვალისწინებულ კრიტერიუმში, მონაწილეობს სტიპენდიის მიღების კონკურსში, ყოველგვარი განსხვავებული მოპყრობისა თუ დამოკიდებულების გარეშე.

ექსპერტების პასუხი: სტიპენდიების გაცემისა და სტუდენტების ინფორმირების გამჭვირვალობისთვის, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას ჰქონდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტი, რომელიც ასახავს სტიპენდიის კონკრეტულ კრიტერიუმებს. ვიზიტის დროს ჯგუფმა მოითხოვა დოკუმენტი, რომელიც ასახავდა სტიპენდიის მინიჭების კრიტერიუმებსა და პროცედურას, მაგრამ ასეთი დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება საერთაშორისო სტუდენტებს, სახელმწიფო

სტიპენდიები მათზე არ ვრცელდება, ხოლო რაც შეეხება სტუ-ს მიერ შეთავაზებულ სხვა სტიპენდიებს ჯგუფს აცნობეს სხვადასხვა სესიებზე (მათ შორის თავად საერთაშორისო სტუდენტებისგან), რომ საერთაშორისო სტუდენტებს არ აქვთ მათზე წვდომა. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №24.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტრატეგია სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შემცირების მიზნით.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

განვმარტავთ, რომ სტუდენტის სტატუსის შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები ჩამოყალიბებულია კანონმდებლობით. კერძოდ, სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკანონმდებლო საფუძვლებია:

- ა) ადმინისტრაციული (ფინანსური) ან აკადემიური (სასწავლო) რეგისტრაციის გაუვლელობა;
- ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- გ) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
- დ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
- ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას;
- ვ) სამხედრო სავალდებულო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა.

ამ საფუძვლების უმრავლესობა გამომდინარეობს სტუდენტის ობიექტური ან სუბიექტური მიზეზით, რაზეც შედეგობრივი ზემოქმედება აღემატება უნივერსიტეტის შესაძლებლობებს.

გარდა ამისა, სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაღალი მაჩვენებელი არის ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის საერთო გამოწვევა და ეხება ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

შესაბამისად, ხსენებული გამოწვევის ეფექტიანი პასუხი განიხილება კომპლექსური მიდგომით მოსაგვარებელ საკითხთა კატეგორიად და მასში კომუნიკაციის, მიკრო დონეზე ხელშეწყობის, დამატებითი, მათ შორის ინდივიდუალური კონსულტაციებისა და შეთავაზებების პარალელურად, შედის კანონმდებლობის ადაპტირების საკითხიც, მათ შორის სტატუსის შეჩერების ხანდაზმულობა. მითუმეტეს, გასათვალისწინებელია, რომ ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან მიმართებაში, სახელმწიფომ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და საქართველოს მასშტაბით, ყველა ასეთ სტუდენტს მოუხსნა ფინანსური დავალიანების პრობლემა 2023 წელს. ამ ყველაფრის

და უნივერსიტეტში არსებული მაქსიმალურად მოქნილი სწავლის საფასურის გადახდის პირობის გათვალისწინებით, გაუმართლებლად მიგვაჩნია უნივერსიტეტის მიმართ, შედეგზე ორიენტირებული მსგავსი შინაარსის რეკომენდაციის შემუშავება.

ექსპერტების პასუხი: უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს პოლიტიკა სტატუსის შეჩერების მაჩვენებლის შესამცირებლად. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

VI სტანდარტი - დასკვნის პროექტის მიხედვით შეფასება: „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

კომპონენტი 6.1.

რეკომენდაცია №25.

„რეკომენდებულია, დოქტორანტების ხელმძღვანელებისთვის მენტორული მხარდაჭერის და ტრენინგების უზრუნველყოფა.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტები, მათ შორის დოქტორანტურის შესახებ დებულება, ადგენს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი წაყენებულ იმგვარ მოთხოვნებს, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელის კვალიფიკაციის, მომზადების დონის, მისი საქმიანობის აღიარებისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის თვალსაზრისით მზაობის მაღალ სტანდარტს. ამიტომ, საჭიროება მოითხოვს, რეკომენდაცია გავყოთ ორ ნაწილად. პირველ ნაწილში, რომელიც შეეხება სამეცნიერო ხელმძღვანელებისათვის მენტორულ მხარდაჭერას, მიგვაჩნია, რომ არ გამოხატავს უნივერსიტეტის საჭიროებას და შესაბამისად არ ვიზიარებთ. რაც შეეხება მეორე ნაწილს - სამეცნიერო ხელმძღვანელების ტრენინგებით უზრუნველყოფას, უნივერსიტეტის ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშში და მის დანართებში ფართოდ არის წარმოდგენილი ინფორმაცია განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებების და აგრეთვე ამ ღონისძიებების განმახორციელებელი წამყვანი სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შესახებ, რომელიც ინტენსიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტთან.

ექსპერტების პასუხი: გაურკვეველია ტარდება თუ არა ტრენინგი სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №26.

„რეკომენდებულია, დოქტორანტების სტიპენდიის საფასურის გადახედვა.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველი იკითხება ექსპერტთა ჯგუფის ქართულენოვანი დასკვნის პროექტის 52-ე გვერდზე, სადაც დაფიქსირებულია შემდეგი: „მთელი ინტერვიუს განმავლობაში ექსპერტებმა გააცნობიერეს, რომ დოქტორანტები სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პარალელურად მუშაობენ; ეს ძალიან რთულია. ეს აშკარაა დოქტორანტების დიდი რაოდენობით, რომელთაც სტატუსი შეჩერებული აქვთ პროგრამაზე. როგორც ჩანს, დოქტორანტები სრული დატვირთვით არ მუშაობენ კვლევით პროექტზე; ეს გამოწვეულია დოქტორანტებისა და მათი ოჯახების უზრუნველყოფისთვის კვლევის თანხების არასაკმარისი რაოდენობის გამო.“

უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ჩანაწერი და მის საფუძველზე გაცემული რეკომენდაცია არ შეესაბამება არა მხოლოდ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, არამედ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ ობიექტურ რეალობას.

ექსპერტების პასუხი: რეკომენდაცია გადატანილი იქნა რჩევაში

რეკომენდაცია №27.

„რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დოქტორანტების ინგლისური ენის ცოდნის დონის შეფასების მიზნით ხელახლა განახორციელოს ინგლისური ენის გამოცდა“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი ყველა აკრედიტებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურებას კვალიფიციური პროცესით: 1. შესაბამისი, აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენით, ან 2. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში ტესტირების შედეგით, ან 3. ინგლისურ ენაზე პირველი და/ან მეორე საფეხურის უმაღლესი განათლების დამლევის დადასტურებით. ამ წინაპირობას, როგორც სამართლებრივი, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით, აქვს იმპერატიული ხასიათი და შესაბამისად, გამონაკლისი არ დაიშვება. შესაბამისად, უნივერსიტეტი არ იზიარებს „6.1. კომპონენტის“ ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციას.

ექსპერტების პასუხი: რამდენიმე დოქტორანტის ინგლისური ენის კომპეტენცია არ იყო შესაბამისი. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №28.

„რეკომენდებულია, სხვადასხვა ფაკულტეტებს და კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობით, მულტიდისციპლინური კვლევითი აქტივობების ჩამოყალიბება.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტში ფაკულტეტებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის სამეცნიერო თანამშრომლობის ღირებული გამოცდილება არსებობს და მიმდინარე ეტაპზე, არაერთი მიმართულებით ხორციელდება თანამშრომლობითი სამეცნიერო პროგრამა მეცნიერების, პროფესორებისა და დოქტორანტების თანამონაწილეობით, როგორც კონკრეტულ დარგობრივ მიმართულებებში, ასევე ინტერდისციპლინურად. გარდა ამისა, ინტერდისციპლინური კვლევები სრულად მხარდაჭერილი და წახალისებულია უნივერსიტეტის არაერთი სამართლებრივი აქტებით (სტრატეგიის დოკუმენტები, სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, საერთაშორისო კოლაბორაციებში მონაწილეობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები, გამოყოფილი მატერიალური და ფინანსური რესურსი). მსგავსი თანამშრომლობა ხორციელდება არა მხოლოდ უნივერსიტეტის დონეზე, არამედ საერთაშორისო მასშტაბურ სამეცნიერო კოლაბორაციებში, ტენიკური უნივერსიტეტის მხრიდან მულტიდისციპლინური თანამონაწილეობით.

ექსპერტების პასუხი: არ იყო საკმარისი მტკიცებულება წარმოდგენილი, თუ როგორ ტარდება მრავალდისციპლინური კვლევა. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №29.

„რეკომენდებულია, არსებითად გაიზარდოს გამოქვეყნებები და წვლილი მაღალი ხარისხის ჟურნალებში (ერთზე მეტი იმფაქტ ფაქტორი, Q1 ან Q2 "scimago" ჟურნალების კლასიფიკაციის მიხედვით).“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას.

რეკომენდაცია №30.

„რეკომენდებულია, დოქტორანტების მიერ შესრულებული ყველა ნაშრომი (არა მხოლოდ დასრულებული დისერტაცია) შემოწმდეს პლაგიატზე (ჟურნალის ხელნაწერები, კოლოქვიუმები, თემატური სემინარები), რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

როგორც დასკვნის პროექტშია აღნიშნული და წარმოადგენს დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებას, უნივერსიტეტში შექმნილი ყველა სადისერტაციო ნაშრომი, დაცვამდე გადის აკადემიური კეთილსინდისიერების დადასტურების ტესტს, კვალიფიციური პროცესით. გარდა ამისა, მოქმედი სამართლებრივი აქტის შესაბამისად, კვლევის პროცესში შექმნილი სამეცნიერო სტატიები, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტის „საგამომცემლო სახლის“ გამოცემებში, სავალდებულო წესით მოწმდება პლაგიატის აღმომჩენი პროგრამით და დგინდება თანხვედრის კოეფიციენტის შესაბამისობა ან პირიქით. ეს პროცესი, შესაბამისი ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსით არის უზრუნველყოფილი და შედეგობრივად, ეფექტიანად ამოწმებს დოქტორანტის აკადემიური კეთილსინდისიერების ფაქტს. შედეგად,

სისტემა გამორიცხავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პირობებში დისერტაციის დაცვას და დოქტორანტისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭებას. შესაბამისად, დადასტურებულად მიზნის მიღწევის პირობებში, მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ სოლიდური დამატებითი ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსის გახარჯვა უნივერსიტეტის მიერ იქნება გაუმართლებელი გადაწყვეტილება ეფექტიანობის და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

ექსპერტების პასუხი: არ არის ცხადი, საერთაშორისო ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ხელნაწერები ექვემდებარება თუ არა პლაგიატზე შემოწმებას. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №31.

„რეკომენდებულია, დაზუსტდეს სადოქტორო ნაშრომის დაცვის წინაპირობები, მათ შორის სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების მოთხოვნა Web of Science ან Scopus - ის მონაცემთა ბაზების მიერ ინდექსირებულ ჟურნალში, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დოქტორანტებისთვის ERIH Plus მონაცემთა ბაზაში.“

რეკომენდაცია №32.

„რეკომენდებულია, დოქტორანტისთვის ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურის გაუმჯობესება. დანიშნულ პროფესორს ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამეცნიერო აქტივობები, რომელიც დაკავშირებული იქნება სადისერტაციო თემასთან, გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სტატიები Web of Science ან Scopus მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში, ხოლო ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ERIH Plus მონაცემთა ბაზაში.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სადოქტორო ნაშრომის დაცვის წინაპირობებით და სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურით აკმაყოფილებდა აღიარებული კარგი პრაქტიკის მოთხოვნებს და შედეგად, წარმატებით ახორციელებდა სადოქტორო საფეხურის პროგრამების აკრედიტაციას ეროვნულ დონეზე.

რეკომენდაციის შინაარსი გამომდინარეობს დოქტორანტურის ახალი სტანდარტით, რომელიც დამტკიცდა ექსპერტთა ვიზიტის და შესაბამისად, ავტორიზაციის განაცხადის შემდგომ და ეს მოთხოვნა მიემართება არა მხოლოდ ტექნიკურ უნივერსიტეტს, არამედ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. შესაბამისად, იდენტური შინაარსის მითითება ატარებს იმპერატიული მოთხოვნის ხასიათს და კონკრეტული წარმოების ფარგლებში მისი მიკუთვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის არ არის მიზანშეწონილი. ამასთან, უნივერსიტეტს

არაერთგზის აქვს დადასტურებული და ახლაც მზად არის უზრუნველყოს დამტკიცებული სტანდარტის შესაბამისობა, ყოველგვარი დამატებითი რეკომენდაცი(ებ)ის გარეშე.

ექსპერტების პასუხი: ეს რეკომენდაცია ეფუძნება აკადემიური პერსონალის საშუალო კვლევის პროდუქტიულობის საშუალო მაჩვენებლებს საანგარიშო პერიოდში. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

კომპონენტი 6.2.

რეკომენდაცია №33.

„რეკომენდებულია, როგორც აკადემიური პერსონალისთვის ასევე დოქტორანტებისთვის გუგლ სქოლარის პროფილების შექმნა.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებაა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელს შექმნილი აქვს გუგლ სქოლარის პროფილები.

ექსპერტების პასუხი: რეკომენდაცია გადატანილი იქნა რჩევაში

რეკომენდაცია №34.

„უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს ეფექტური სტრატეგია და წახალისების სისტემა კვლევის მხარდაჭერის მიზნით ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

კვლევის ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლები ექვგარეშე მიუთითებს უნივერსიტეტში არსებული სტრატეგიის და მხარდაჭერის ეფექტურობასა და ეფექტიანობაზე. კერძოდ, ჩვენი უნივერსიტეტი წარმოდგენილია ყველა საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციაში. ამასთან, შესაძლებლობების გაძლიერების კვალდაკვალ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იტერესების გათვალისწინებით, გავიზიარებთ მითითებას რჩევის სტატუსით.

ექსპერტების პასუხი: ინტერნაციონალიზაცია და უცხოურ ინსტიტუტებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია ხარისხის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა დონეზე. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

კომპონენტი 6.3.

რეკომენდაცია №35.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა საერთაშორისო ჟურნალებში კვლევის შედეგების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენოს Scopus (<https://www.scopus.com/search>) ან Scimago (<https://www.scimagojr.com/>).

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტის ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია და მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების თაობაზე.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის“ შესაბამისად კვლევის შედეგების ხარისხის შეფასების მიზნებისთვის გამოიყენება არა მხოლოდ Scopus და Scimago, არამედ Copernicus, Clarivate Analytics, Web of Science, Scopus, Social Sciences Citation Index, Arts and Humanities Citation Index, ERIH Plus, Research Gate, SCImago Journal Rank ბაზაში ინდექსირებული სამეცნიერო ჟურნალები. შესაბამისად, №35 რეკომენდაციის გაცემის საჭიროება არ არსებობს.

ექსპერტების პასუხი: რეკომენდაცია გადატანილი იქნა რჩევაში

რეკომენდაცია №36.

„რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის და მკვლევრების შესრულების შედეგების მიზნით გამოიყენოს ისეთი საზომი, როგორიც არის ციტირების რაოდენობის გამოთვლა, FWCI, i10.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყენებს შიდა და საერთაშორისოდ აღიარებულ ინსტრუმენტებს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შესაფასებლად. ბოლო წლებში სტუ-ს სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში ხილვადობის გაზრდის და მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების მიზნით რიგი ღონისძიება და რეფორმა ჩატარდა. შედეგად, საკმაოდ მკვეთრად გაიზარდა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის ამსახველი (ციტირების, H და სხვ.) ინდექსებიც. დღეს უნივერსიტეტი მსოფლიოში წამყვანი სამეცნიერო ბიბლიომეტრიული ბაზების მეშვეობით (SCOPUS, GoogleScholar, WOS) ითვლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ციტირებებს და ითვალისწინებს ამ მაჩვენებლებს სხვადასხვა შიდა და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობისას. თუმცა სრულიად იზიარებს რეკომენდაციას სამომავლოდ აკადემიური და სამეცნიერო კონკურსებისათვის გაითვალისწინებს ისეთი საზომი მეტრიკების გამოყენებას, როგორიცაა FWCI, i10 და Altmetrics, რათა შეფასებისას სამეცნიერო შედეგის შესაბამის დარგზე გავლენაც გაითვალისწინოს.

პასუხი ექსპერტებისგან: დამატებითი კომენტარები არ გვაქვს. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №37.

„რეკომენდებულია, სტუ - მ გამოიყენოს კვლევის ხარისხის ეფექტურობის შეფასების ანალიზი ახალი კვლევითი სტრატეგიის დასაგეგმად სამომავლო განვითარების მიზნით.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებს, ხოლო ანგარიშგების, ანალიზის, შეფასების და უკუკავშირის მექანიზმები, კვალიფიციური პროცედურებითა და სრული ინფრასტრუქტურული მხარდაჭერით, უზრუნველყოფს ეფექტიანობის შეფასებას, შემდგომში შედეგების კვლევით სტრატეგიაში ასახვის მიზნებისთვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მონაწილეობს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო აკადემიის მიერ ორგანიზებულ და განხორციელებულ გარე შეფასებაში, რომლის შედეგები განიხილება და ანალიზდება ყოველწლიურად, შემდგომი განვითარების მიზნით. მიგვაჩნია, რომ ეს სისტემა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროცესისა და გარემოს პერმანენტულ განვითარებას.

ექსპერტების პასუხი: კვლევის ეფექტურობის სამიზნე ნიშნულები (შედარება ორივე ეროვნულსა და საერთაშორისო დონეზე) არ არის აშკარა. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

VII სტანდარტი - დასკვნის პროექტის მიხედვით შეფასება: „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

კომპონენტი 7.1.

რეკომენდაცია №38.

„რეკომენდებულია სტუ-მ მოამზადოს დაწესებულების ყველა შენობის და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დეტალური სარემონტო გეგმა (ლაბორატორიების, სანიტარული კვანძების, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს, კვების ობიექტების), (მაქსიმუმ სამი წელი) და განსაზღვროს სავარაუდო ბიუჯეტი.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება-გამდიდრების მიმართულებით უნივერსიტეტი ყოველწლიურად დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს. შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იზიარებს წინამდებარე რეკომენდაციას.

ექსპერტების პასუხი: დეტალური გეგმა არ არის მოწოდებული. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №39.

„უნივერსიტეტმა, თითოეულ შენობაში უნდა უზრუნველყოს საევაკუაციო გეგმა და განათავსოს სპეციალური ნიშნები.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტის ყველა შენობაში, თითოეულ სართულზე სპეციალურად შერჩეულ რამოდენიმე თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია შესაბამისი შენობის და ლოკაციის კვალიფიცურად შედგენილი საევაკუაციო გეგმები. ეს ფაქტობრივი გარემოება დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის უნივერსიტეტში ვიზიტის დროს. გარდა ამისა, ყველა ლაბორატორიაში, აგრეთვე შენობებში განთავსებულია სპეციალური საინფორმაციო ნიშნები: ელექტროკვანძის არსებობის, გასასვლელის მანიშნებელი, მოწევის აკრძალვის, ვიდეოკონტროლის და სხვ.

ექსპერტების პასუხი: ვიზიტის დროს საევაკუაციო გეგმები ყველა შენობაში არ იყო თვალსაჩინო. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №40.

„უნივერსიტეტმა თითოეულ შენობაში უნდა გამოყოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.“

პასუხი ექსპერტებისგან: კომენტარი არ არის მოწოდებული. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №41.

„უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესში, როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის უნდა გაითვალისწინოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პროცედურები.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ უნივერსიტეტის შენობები აქმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების დადგენილ ნორმებს. ამასთან თითოეულ შენობაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს. ამ სამსახურის თანამშრომლები, ყველა შენობაში, 24/7 განმავლობაში ახორციელებენ კონტროლს მათთვის მიკუთვნებული ტერიტორიების მიხედვით. ამავე სამსახურის თანამშრომლებს გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება და პასუხისმგებლები არიან სახანძრო უსაფრთხოებაზე. აღნიშნული ვალდებულება დადასტურებულია აგრეთვე

„სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაცვის და უსაფრთხოების დეპარტამენტის დებულების“ მე-3 მუხლით.

დაცვის და უსაფრთხოების დეპარტამენტს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს უნივერსიტეტში სასწავლო და არასასწავლო პროცესების დროს უზრუნველყოს უსაფრთხოება უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე; აკონტროლოს სტუდენტთა უნივერსიტეტში შემოსვლის პროცესი სტუდენტთა ბარათების მეშვეობით; სათვალთვალო კამერების საშუალებით აწარმოოს შენობაში (გარდა აუდიტორიების) მიმდინარე პროცესებზე კონტროლი კანონმდებლობის დაცვით; უზრუნველყოს უნივერსიტეტის მატერიალურ ფასეულობათა, ინვენტარის და სხვა დამხმარე საშუალებების დაცვა; ხელი შეუწყოს სასწავლო და არასასწავლო პროცესების უსაფრთხოდ ჩატარებას; არ დაუშვას უცხო პირები უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები წესრიგის დამრღვევის მიმართ, თუ იგი არ ემორჩილება უნივერსიტეტის წესდებით და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; განუწყვეტლივ იმყოფებოდეს დასაცავ კორპუსში, აკონტროლოს კორპუსი, ელექტროდამცავი და სახანძრო სიგნალიზაციის მუშაობა, დაიცვას შესაბამისი კორპუსის ქონება დაზიანების, გაძარცვის და ხანძრისაგან; აღკვეთოს ნებისმიერი დარღვევა, აგრეთვე ალკოჰოლური სასამელების შემოტანა უნივერსიტეტის შენობებში, აზარტული თამაშები, მოწევა, უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის ნებართვის გარეშე რაიმე ინვენტარის ან ნივთის შემოტანა-გატანა; არ დაუშვას ძირითადი და სათადარიგო გასასვლელების ჩახერგვა; განახორციელოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვა სახანძრო და დაცვითი სიგნალიზაციით, ვიდეო დათვალიერებით, დაცვის სხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით; ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენების და დარღვევების შესახებ შეატყობინოს პოლიციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის სამსახურის ფარგლებში ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების განყოფილება, რომლის ძირითადი ფუნქციებია: შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა; თანამშრომლების შრომის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და მათთვის შესაბამისი ქცევის სტანდარტების დადგენა; შრომის უსაფრთხოების მიზნით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ამ ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა; სახანძრო უსაფრთხოების და საევაკუაციო გეგმების შემუშავება; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში უნივერსიტეტის თანამშრომელთა სწავლება, მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა; კომპეტენციის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ №40 და №41 რეკომენდაციების გაცემის საჭიროება არ არსებობს.

ექსპერტების პასუხი: შიდა ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, გამოვლინდა რომ არ არსებობს პროცესი პერსონალის მხრიდან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროცედურების გაგების დონის შესაფასებლად. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

კომპონენტი 7.2.

რეკომენდაცია №42.

„რეკომენდებულია, დაწესებულება გახდეს IEEE Xplore - ის გამომწერი.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

უნივერსიტეტის ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშში ასახულია და მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე, სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect, Scopus, Heinonline, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, IMF eLibrary, IMechE Journals, Openedition Journals, Mathematical Sciences Publishers, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, European Respiratory Journal, The Company of Biologists' Journals. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი იზიარებს №42 მითითებას რჩევის სტატუსით.

ექსპერტების პასუხი: ანგარიშში ხაზგასმულია IEEE Xplore-ის მნიშვნელობა. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №43.

„რეკომენდებულია, ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილი იყოს ოთახები ჯგუფური პროექტებისთვის.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა გამოირჩევა უნიკალური რესურსებით და ისტორიით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და წარმოადგენს არამხოლოდ კლასიკური საბიბლიოთეკო ფუნქციის მატარებელ უმნიშვნეს სტრუქტურულ ერთეულს, არამედ ყოველდღიურად, ღირსეულად მასპინძლობს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებით ღონისძიებებს. ბიბლიოთეკა მოიცავს არაერთ სხვადასხვა ზომის და შესაბამისი აღჭურვილობის დარბაზსა და სამუშაო ოთახს, რომელთა ნაწილის ფიზიკურად ნახვის შესაძლებლობა ჰქონდათ ექსპერტებს ვიზიტის დროს. ამასთან, ვიზიტის პერიოდში, ბიბლიოთეკის გარკვეულ ნაწილში, რომელიც აგრეთვე მოიცავს დიდ საკონფერენციო დარბაზს, მიმდინარეობდა რემონტი და ექსპერტთა ჯგუფის ერთმა წარმომადგენელმა დაათვალიერა მიმდინარე სამუშაოები. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკები, სათანადო მატერიალური რესურსისთ, მათ შორის შესაბამისი ოთახებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს

არამხოლოდ „ჯგუფური პროექტებისთვის“ გამოყოფილი სამუშაო ოთახები, არამედ უნივერსიტეტში მიღებული ყველა სახის ღონისძიების მასპინძლობისთვის საჭირო დარბაზები, მათ შორის საკონფერენციო დარბაზი.

ექსპერტების პასუხი: ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ არ იყო საკმარისი ფიზიკური გარემო ჯგუფურ მუშაობაზე დაფუძნებული აქტივობების მხარდაჭერად. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

კომპონენტი 7.3.

რეკომენდაცია №44.

„რეკომენდებულია, ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის დანერგვა.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

სტუ-ს უკვე ჩატარებული აქვს ტექნიკური სამუშაოები ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის დასანერგად. ავთენტიფიკაციის სისტემები უკვე დანერგილია ყველა კრიტიკულ სერვისზე, როგორცაა: სწავლების ელექტრონული სისტემა (elearning.gtu.ge), სასწავლო პროცესის მართვის სისტემა (vici.gtu.ge), ელექტრონულ ფოსტაზე და სხვა. ამ ეტაპზე მომხმარებლებს ინდივიდუალურად შეეძლოთ გაეაქტიურებინათ ეს რეჟიმი.

მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, გააქტიურდება ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის სავალდებულო რეჟიმი.

ექსპერტების პასუხი: რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №45.

„რეკომენდებულია, კომპიუტერებში მოძველებული კიბერ - რისკის ოპერაციული სისტემის შეცვლა.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ინტენსიურად ანახლებს კომპიუტერულ ტექნიკას და ამ მიზნით, ყოველწლიურად მონაწილეობს სახემწიფო შესყიდვების კონსოლიდირებულ ტენდერში. უნივერსიტეტს იდენტიფიცირებული აქვს მცირე რაოდენობით დარჩენილი ის კომპიუტერები, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები ვერ უზრუნველყოფენ თანამედროვე ოპერაციული სისტემით მუშაობას. როგორც აღინიშნა, ეს გამოწვევა არ არის ყურადღების მიღმა დარჩენილი და უნივერსიტეტი ინტენსიურად მუშაობს ამ საკითხზე. შესაბამისად, №45 მითითება გაზიარებულია დამატებითი რჩევის სტატუსით.

ექსპერტების პასუხი: ეს უნდა იყოს რეკომენდაცია უსაფრთხოების სერიოზული რისკების გამო. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია №46.

„რეკომენდებულია, ქსელებზე უკანონო წვდომის საწინააღმდეგო პროგრამის დაყენება.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

ამჟამად უნივერსიტეტი კომპიუტერულ ქსელებზე თავდასხმის პრევენციის მიზნით იყენებს რამდენიმე კომბინირებულ სისტემას:

1. ე.წ. წვდომის სიები (ACL) რითაც რეგულირებულია სტუ-ს მართვის სერვისებზე წვდომები, როგორც ინტერნეტიდან ასევე შიდა ქსელებიდან.
2. ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერულ ქსელში აყენია ანტივრუსული სისტემა -"Bitdefender", რომელიც ცენტრალიზებული პროგრამული კონტროლის საშუალებით უზრუნველყოფს მავნე პროგრამების აღმოჩენას, ანალიზს და გაუვნებელყოფას.
3. სტუ-ში დანერგილია ვირტუალური ლოკალური ქსელები, რითაც რეგულირდება სხვადასხვა VLAN-ს შორის ტრაფიკების გადაცემა.
4. სტუ ჩართულია კიბერ ინციდენტების რეაგირების მართვის ჯგუფში (CERT Georgia), რომელიც უზრუნველყოფს ddos შეტევების გარკვეულ პრევენციას და სხვა კიბერ ინციდენტებზე ინფორმირებას და რეაგირებას.
5. სტუ-ს მზად აქვს სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაცია ახალი თაობის ფაერვოლის შესაძენად, რომელიც უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად გააძლიერებს კიბერუსაფრთხოებას და ინციდენტებზე რეაგირების დროს.

ექსპერტების პასუხი: ყოველივე ზემოთქმული, არ უშლის ხელს უკანონო წვდომის შეტევებს. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

კომპონენტი 7.4.

რეკომენდაცია №47.

„რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მოამზადოს სტრატეგიული / სამოქმედო გეგმა შენობების, ინფრასტრუქტურის და ლაბორატორიების რეაბილიტაციის / რემონტის შესაბამისი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების მოძიების მიზნით, რეკომენდებულია ფინანსური გეგმის გადახედვა და ეფექტურობის შეფასების მიზნით ძირითადი შესრულების ინდიკატორების გამოყენება.“

უნივერსიტეტის პოზიცია:

Nº38 რეკომენდაციის ფარგლებში აღვნიშნეთ, რომ შენობა-ნაგებობებისა და ზოგადად ინფრასტრუქტურის განვითარება-გამდიერების მიმართულებით უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს მნიშვნელოვან ამოცანებს და იზიარებს ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობის გაგრძელების აუცილებლობას. თუმცა, ფინანსური გეგმის გადახედვის მოთხოვნით მოცემულ რეკომენდაციას არ ვიზიარებთ, რადგან უნივერსიტეტი, ფინანსური რესურსის ეფექტიანი დაგეგმვის პირობებში ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ამისათვის იყენებს არა მხოლოდ ორგანიზაციის ბიუჯეტით გათვალისწინებულ შემოსულობებს და სახელმწიფო მხარდაჭერით, არამედ უნივერსიტეტის განვითარების ფონდით და კურსდამთავრებულების მხარდაჭერით აკუმულირებულ ფინანსურ რესურსებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საბოლოო ვერსიაში მნიშვნელოვნად შემცირდება რეკომენდაციების რაოდენობა და შესაბამისად, შეიცვლება სტანდარტებთან უნივერსიტეტის შესაბამისობის შეფასებები.

ექსპერტების პასუხი: გმადლობთ მოწოდებული პასუხებისთვის.

პატივისცემით,